92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №11-12 (7135) 10 ივნისი, 2025 წელი

ეს დღე ჩვენია!...

26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

1918 წლის 26 მაისს თბილისზე აღიმართა ეროვნული დროშა, რომელიც მრავალტანჯული და ნაწამები ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ერის დასაწყისს მოასწავებდა. საქართველოში შეიქმნა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო—ყველაზე დემოკრატიული წყობა ქართველი ხალხის ისტორიაში.

არსებობის მოკლე დროის მანძილზე (2 წელი და 7 თვე) საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოასწრო გარკვეული პროგრესული ღონისძიებების გატარება მმართველობის, კულტურის, განათლების სფეროში...

ფინალი დემოკრატიული რესპუბლიკისა ცნობილია. საბჭოთა რუსეთმა დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, 1921 წლის თებერვალში შეიარაღებული აგრესიით მოახდინა საქართველოს ანექსია...

☞3

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

თერჯოლაში ამ დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდა.

მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე, მრავალფეროვანი ატრაქციონებით-გასაბერი და სპორტული ბატუტი, ცხენების კარუსელი, მუსიკალური ჩაიდანის, ჰოკეის, აიწონას, ყვავილის და კალათბურთის აპარატები.

ა(ა)იპ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურმა ცენტრმა წარმოადგინა მხატვრული ღონისძიება.

დაწვრილებით მომავალ ნომერში.

მშვიდობისა და ბედნიერების გზა ახალგაზრდებო...

იმედად და სიძლიერედ შემატებოდეთ მამულს!

20 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სკოლებში, მეთორმეტე კლასელებისათვის ბოლო ზარი დაირეკა. ეს დღე წლევანდელ კურსდამთავრებულთა ბიოგრაფიის განუყრელ ნაწილად დარჩება, ისევე როგორც სკოლაში გატარებული 12 წლის თითოეული დღე...

მომავალში მხოლოდ მათზე და მათი თანატოლების პირველ ნაბიჯებზე, განათლებაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ზნეობაზე, რწმენასა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე იქნება გარკვეულწილად დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, საქართველოს თითოეული მოქალაქის ბედი.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა ბოლო ზარის დღე. საინტერესო და მრავალფეროვანი იყო სკოლასთან დასამშვიდობებელი პროგრამები, მხიარული და ბედნიერი იყო თითოეული კურსდამთავრებული.

257 თერჯოლელ ☞2 კურსდამთავრებულს დაულოცეს გზა

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2

ყოჩაღ ბიჭებო! ☞4

ბოლო ზარი! ბოლო გაკვეთილი! ☞6

ოცი კურსდამთავრებული, ოცი ფოიერვერკი და ათასი მადლობა ☞7

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილედ მამუკა ხიმშიაშვილი დაინიშნა

სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში, ლევან ზალკალიანმა თანამშრომლებს ახალი მოადგილე წარუდგინა და წარმატებები უსურვა მას.

მამუკა ხიმშიაშვილი კურატორობას გაუწევს ქონების პრივატიზებისა და სასარგებლო წიაღისეულის საკითხებს, სახელმწიფო შესყიდვებს, უხელმძღვანელებს სატენდერო კომისიას, მას ასევე განესაზღვრა კოორდინაცია სამინისტროებთან და მათ რეგიონულ დაწესებულებებთან. გარდა ამისა, მან ჩაიბარა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება.

მამუკა ხიმშიაშვილს საჯარო სექტორში, ასევე პოლიტიკურ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. დღემდე ის იყო ქუთაისის მერის მოადგილე, 2023-2024 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, 2021-2023 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებში.

18 მაისი—ქართული ეროვნული სამოსის დღე

ამ დღესთან დაკავშირებით თერჯოლაში კულტურულ-გასართობი ღონისძიებები გაიმართა. მოეწყო კოსტუმირებული მსვლელობა ქალაქის ცენტრში. მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ ჩატარდა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები. აქვე გამოფენილი იყო ეროვნული სამოსი, ეთნოგრაფიული ნივთები, ადგილობრივ მეწარმეთა ნამუშევრები.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები, საჯარო სკოლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი. ეროვნული სამოსის დღე თერჯოლელებს მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილმა, თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გიორგიმ.

საქართველოში ეროვნული სამოსის დღე 2016 წელს დაწესდა, რომლის მიზანია ქართული კულტურის ფართო პოპულარიზაცია.

ეროვნული სამოსის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და კულტურის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

მზის ელექტროსადგური ქვედა სიმონეთში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთში მზის სისტემის ელექტროსადგური მოეწყო.

მზის სისტემის ახალი ელექტროსადგური მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად დაათვალიერა.

ადგილობრივმა მეწარმე ჯუმბერ ქოჩიაშვილმა 500 კილოვატიანი სიმძლავრის ელექტროსადგური, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით დაამონტაჟა და იგი ყოველწლიურად 800 ათას კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. მეწარმე, ელექტროსადგურის გაფართოებასაც გეგმავს. ამ ეტაპისთვის მზის ელექტროსადგურიდან ელექტროენერგია კასპში არსებულ შპს „ნოსტეს“ მიეწოდება.

რეგიონებში კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ბიზნესის მხარდაჭერა და გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ახალთერჯოლასა და თავასაში

მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალთერჯოლასა და თავასაში სასოფლო გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ახალთერჯოლაში ქ. თერჯოლასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის კეთილმოწყობის, პროექტის ფარგლებში იგება არმირებული ბეტონის საფარი. სამუშაოებს ასრულებს შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ და მისი ღირებულება 263158 ლარია.

საავტომობილო გზა ეწყობა ასევე თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ თავასაში, სადაც არმირებული ბეტონის საფარი დაიგება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემაც. სამუშაოებზე, რომელსაც შპს „ მეკა“ ახორციელებს 260 000 ლარი დაიხარჯება.

ორივე სოფლის გზა რეგიონალური განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით კეთილმოეწყობა.

ამ დღეებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ დაათვალიერა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

საგზაო სამუშაოები რიკოთზე...

რიკოთის დარჩენილ 4 კმ-იან მონაკვეთზე (ჩუმათელეთი-ხევი) გრძელდება ინტენსიური სამუშაოები. 4 კმ-იანი მონაკვეთის აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებაზე 2 ზოლიანი გზის მშენებლობა მალე დასრულდება. დასრულებულ 2 ზოლზე დროებით გადაერთვება ორივე მიმართულების სატრანსპორტო მოძრაობა და დაიწყება ძველი გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მოეწყობა 3 ზოლიანი გზა და 5 ახალი ხიდი.

ძველი გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ, რიკოთის 52 კმ-იანი მაგისტრალური გზა სრულად იქნება გახსნილი ავტოტრანსპორტისთვის.

რიკოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სულ შენდება 52 კმ-იანი 4 ზოლიანი მაგისტრალური გზა, 51 გვირაბითა და 97 ხიდით. ამ დროისათვის, ტრანსპორტი უკვე ისარგებლებს ახალი 4 ზოლიანი გზის 48 კმ-ით (49 გვირაბითა და 88 ხიდით).

მიმდინარე სამუშაოები, დღეს, ინფრასტრუქტურის მინისტრმა რევაზ სოხაძემ და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა, მინისტრის მოადგილეებთან, საავტომობილო გზების დეპარტამენტის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

მშვიდობისა და ბედნიერების გზა ახალგაზრდებო...

1 ☞ იმედად და სიძლიერედ შემატებოდეთ მამულს!

აღმზრდელ-პედაგოგებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა. მათ წინ ეროვნული გამოცდები ელოდებათ, შემდეგ კი არაერთ „გამოცდას“ ჩააბარებენ. ცხოვრების გზაზე, არაერთხელ მოუწევთ გამკლავება სირთულეებით სავსე რეალობასთან, არც საკუთარი თავის დამკვიდრება იქნება მთლად ადვილი, თუმცა წინ უამრავი სიხარული და მხიარული დღეებიც ელოდებათ, შინაარსიანი და წარმატებული დღეები, წლები...

უფლის ნებითა და წყალობით, თითოეულის თავდადებით, მონდომებითა და ბეჯითობით ყველა სიძნელე დაიძლევა, ყველა ოცნება ასრულდება. ამის დიდი სურვილი აქვს მათ აღმზრდელებს, მშობლებს, ქვეყნისა და ჩვენი ახალგაზრდობის ბედზე დაფიქრებულ ადამიანებს...

„თითოეულ მეთორმეტეკლასელს გილოცავთ თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას, სკოლის დამთავრებას.

დღეიდან თქვენთვის საინტერესო და საპასუხისმგებლო ეტაპი იწყება, ახალი გამოცდილებებით, ურთიერთობებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებით. ახლა უკვე დამოუკიდებელი ნაბიჯები უნდა გადადგათ ცხოვრების სავალ გზაზე. მინდა წარმატებები გისურვოთ, აგსრულებოდეთ დასახული მიზნები და ყველა მოლოდინი გაგმართლებოდეთ!“—აღნიშნა მანუჩარ რობაქიძემ.

„გილოცავთ სკოლის დასრულებას. გისურვებთ წარმატებას ცხოვრების ახალ ეტაპზე. მომავალი თაობის განათლება და შრომისმოყვარეობა საწინდარია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა“ —აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა.

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ქეთევან შეყრილაძე:**

„ეს დღე ყოველი წლის კალენდარშია, მაგრამ ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დგება, თუმცა იმოდენა ემოციის მატარებელია, რომ მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე გვყოფნის...

დღეს „ბოლო ზარია"...

ჩვენს მუნიციპალიტეტში იგი 24 საგანმანათლებლო სკოლის 257 მოსწავლისათვის დაირეკა...

გილოცავთ, კურსდამთავრებულებო...

გამარჯვების გზებით გევლოთ!

გილოცავთ, წარმატებული ყოფილიყოს თქვენი პირველი ნაბიჯები ცხოვრების ახალ ეტაპზე!“

ახალგაზრდებმა საყვარელ გარემოში გატარებული წლები გაიხსენეს, თანატოლებს მაისურებზე სამახსოვრო წარწერები დაუტოვეს, მადლობა გადაუხადეს აღმზრდელ პედაგოგებს და სკოლის კედლები მომავლის წარმატების იმედით დატოვეს.

ეს დღე ჩვენია!..

26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

საქართველოში თავისუფლებაზე ოცნება ყველა დროის ყველა ადამიანისათვის სანუკვარი იყო, ამიტომ 80-იანი წლებიდან, როცა თითოეულში ახალი ძალით გაიღვიძა ეროვნულმა თვითმყოფადობის დამკვიდრების ნებამ—1989 წლის 26 მაისს, საქართველოს ისტორიაში დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, პირველად აღინიშნა იგი—როგორც დიდი ეროვნული ზეიმი. შემდეგ იყო მრავალპარტიული არჩევნები იმავე წლის ოქტომბერში. 1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმით კი ქართველმა ხალხმა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობამ გამოხატეს ურყევი ნება—აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა სწორედ 1918 წლის აქტის საფუძველზე.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.

მას შემდეგ, ყოველწლიურად, 26 მაისს, საქართველო ზეიმით აღნიშნავს და იმედით იმისა, რომ გამთლიანებული, განვითარებული, დემოკრატიული ქვეყნის წინსვლას ამიერიდან ვერავითარი ძალა ვეღარ შეაფერხებს.

ზეიმი თერჯოლაში

ბოლო წლებია თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სკანდას ციხეზე მსვლელობით იწყება. ასე დაიგეგმა ამჯერადაც.

დილის 10 საათზე სახელმწიფო დროშითა და სპეციალურად ამ დღისთვის დამზადებული მაისურებით მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პირველი პირები საჯარო მოხელეებთან, თანამშრომლებთან და თანამოსაქმეებთან ერთად გაემართნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ძეგლის სკანდას ციხისაკენ.

მეოთხე საუკუნის საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლზე სახელმწიფო დროშის აღმართვა ნიშნავს ეროვნული თვითშეგნების და პატრიოტიზმის გამოვლინებას, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის წარსულის ხსოვნას, მის სიყვარულსა და პატივისცემას.

თითოეული თერჯოლელისათვის უდიდესი პატივია მრავალსაუკუნოვანი ციხის კედლებზე სახელმწიფო დროშის აღმართვა, ეს საპატიო მისია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა შეასრულეს აპლოდისმენტებისა და ანსამბლ „მასპინძელოს“ „მრავალჟამიერის“ ფონზე.

დროშის აღმართვის შემდეგ შეკრებილ საზოგადოებას, ასევე სრულიად თერჯოლას და საქართველოს მიმართა და დამოუკიდებლობის დღე მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ.

ზეიმი თერჯოლის ცენტრში გაგრძელდა, სადაც მსვლელობას მრავალი ადამიანი შეუერთდა. მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა პატივი მიაგეს და გვირგვინებით შეამკეს ოთხი ძმის ქუჩაზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დიდების მემორიალი, გაიხსენეს და აღნიშნეს მათი დამსახურება სამშობლოს წინაშე.

აღსანიშნავია, რომ აქ, უფროსებთან ერთად, მოვიდნენ ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად და ქალაქის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელები თავიანთ აღმზრდელებთან ერთად...

იმ დღეს თერჯოლელებმა პატივი მიაგეს 80-90-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ვანო ხუხუნაიშვილს, რომელიც თერჯოლის ცენტრში არსებული „ხარების“ სახელობის ტაძრის ეზოში, სწორედ სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის განისვენებს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა უამრავ ადამიანთან ერთად ყვავილების გვირგვინით შეამკეს ბატონ ვანოს საფლავი.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის 26 მაისს ვანო ხუხუნაიშვილის ქუჩაზე, მისი სახლის კედელზე, გაიხსნა მემორიალური დაფა წარწერით: „აქ, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, გამორჩეული მამულიშვილების მიერ იწერებოდა საქართველოს უახლოესი ისტორია“. ამ სახლში იკრიბებოდნენ ხშირად ვანო და მისი მეგობრები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და აქტივისტები. ბევრმა არ იცის, რომ სწორედ ამ სახლში 1988 წელს ჩატარდა ეროვნული მოძრაობის პირველი ყრილობა...

საზეიმო ღონისძიება ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში გაგრძელდა, სადაც ზეიმის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ და გაცნობოდნენ ხალხური რეწვის ადგილობრივ ოსტატებს და მათ ნამუშევრებს. აქვე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული ტურიზმის კუთხე შესაძლებლობებს იძლეოდა დამთვალიერებლები ფოტოებით გაცნობოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებულ ღირსშესანიშნავ ადგილებს.

სკვერში მოწყობილი იყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა თემატური გამოფენა, წარმოდგენილი იყო აგრეთვე საზანოს საჯარო სკოლის მოსწავლის ბადრი მოდებაძის საინტერესო ნამუშევრები, აქვე ბავშვებს თუ სხვა მსურველებს შეეძლოთ სახის მოხატვა და ა.შ.

ვიდრე საზეიმო კონცერტი დაიწყებოდა ამფითეატრის

მიმდებარე ტერიტორიაზე, სათანადო ინვენტარით მოწყობილ ადგილებზე, მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სპორტული შეჯიბრებების შემდეგ სახეობებში: შაშში, ნარდში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში და ა.შ.

დღის ორ საათზე, სკვერში, ამფითეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე საინტერესო კონცერტის მოლოდინში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. აქ არიან მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, სამსახურის უფროსები, საჯარო მოსამსახურეები, უამრავი თერჯოლელი დიდი თუ პატარა.

ღონისძიების წამყვანი მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას, მიულოცა ქვეყნის უდიდესი ეროვნული დღესასწაული მცირეოდენი მიმოხილვით მისი რაობისა და მნიშვნელობის შესახებ და სცენაზე მოიწვია ვოკალური ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე), მომღერლებმა ნამდვილად დიდი პატრიოტული მუხტი დაანთეს სიმღერის „მაგრად დაჰკარით“ ომახიანი შესრულებით. შემდეგ კი ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმერეთმა“ „მუხტი ცეცხლად“ აქციეს და ცეკვა „ხორუმით“ დაწერილი თუ მოთხრობილი საქართველოს ისტორია საქართველოს სახელმწიფო დროშის აფრიალებით დაასრულეს...

კონცერტი გაგრძელდა და შემდეგი იყო ჩვენი უძველესი და მუდამ თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“, (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), არაჩვეულებრივი ომახიანი შესრულებით და ვედრებით უფლისადმი „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“...

სიმღერისა თუ ცეკვის ყველა ნომერი ერთიანობაში იყო თემატურად შერჩეული და გამიზნული, ეროვნულ საზეიმო განწყობას მისადაგებული. მაყურებელთა აპლოდისმენტებიც დასტური იყო იმისა, რომ კონცერტის თითოეული მონაწილე უდიდესი პასუხისმგებლობით და სიყვარულით დიდ ენერგიასა და პროფესიონალიზმს დებდა თითოეულ ნომერში.

ზემოთაღნიშნულ ანსამბლებთან ერთად სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იმერეთი“, „საპოვნელა“, „ჯეოგენი“, ხელმძღვანელები: გოჩა, გიორგი, თამუნა ჭანკვეტაძეები, ირინა ბუცხრიკიძე;

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ხელმძღვანელები: ვიტალი ლაღაძე და ზაურ სვანიძე;

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ხალხურ საკრავთა ანსამბლი „იმედი“, ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე;

სამუსიკო სკოლის გაერთიანებული ანსამბლი „ჭიუხი“, ხელმძღვანელი რამაზ მემანიშვილი.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტით ადგილობრივმა სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლებმა ძალიან ლამაზი და შინაარსიანი დღე აჩუქეს მაყურებლებს.

ღონისძიების წამყვანმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ფარგლებში სპორტული აქტივობების მონაწილე ყველა საჯარო სკოლას, რომლებიც ჩართული იყვნენ პროექტში „თავისუფალი თამაშები“ მინი ფეხბურთში, ასევე ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრების მონაწილეებს...

მადლობა გადაუხადა ზეიმის მონაწილე ყველა ანსამბლსა და მათ ხელმძღვანელს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

დასასრულს მაყურებლებს მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ: **„კიდევ ერთხელ მოგესალმებით ძვირფასო თერჯოლელებო და მოგილოცავთ დიად თარიღს, ვისურვებდი მუდამ გვეზეიმებოდეს ყველას ერთად. დღევანდელი დღისა და ამ ღონისძიების მნახველსა და შემოქმედს, ყოვლისშემძლე ქართველი ერის ნებასა და თავისუფლების სურვილს წინ ვერავითარი ძალა ვერ გადაეღობება. მოპოვებული თავისუფლების დაცვისათვის მარადიული ბრძოლაა საჭირო და არ შეიძლება ჩვენი გამარჯვებით არ დამთავრდეს... დიახ, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ყველანი ერთად შევალთ სოხუმშიც, სამაჩაბლოშიც. ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ გამარჯვებულ, გაბრწყინებულ საქართველოში“...**

და ბოლოს ქართველთა უკვდავების ჰიმნით, ულამაზესი „მრავალჟამიერით“ დაასრულა „მასპინძელომ“, ლამაზად დაწყებული, დიადი დღის—26 მაისის სწორედ სადარი კონცერტი.

ღონისძიება თერჯოლის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

მზია ცქიფურიშვილი

ყოჩაღ ბიჭებო!







ამ დღეებში სასიხარულო ფაქტი გვამცნო ჩვენი მუნიციპალიტეტის სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების განყოფილების უფროსმა ვიცეპოლკოვნიკმა ვასილ ტყეშელაშვილმა.

მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სამმა წვევამდელმა—ალისუბნელმა გიორგი გოჩას ძე ბეღელაძემ (დაბადებული 2007 წელს), ჩხარელებმა: ჯუმბერ ავთანდილის ძე დევიძემ (დაბადებული 2005 წელს) და თორნიკე პავლეს ძე კუტივაძემ (დაბადებული 2004 წელს) პირადი ინიციატივითა და ოჯახების მხარდაჭერით რეგისტრაცია ნებაყოფლობით გაიარეს წვევამდელთა შესაბამისი რეგისტრაციის ვებგვერდზე (Conscript.mod. gov.ge) და ჩაირიცხნენ ექვსთვიან ნებაყოფლობით სამხედრო ქვედანაყოფში, ისინი ამჟამად წარმატებულად გადიან სამხედრო სამსახურს სენაკსა და ვაზიანში.

ბატონმა ვიცეპოლკოვნიკმა ამასთან ერთად სიამაყით გვითხრა, რომ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს დირექტორის, პოლკოვნიკ ირაკლი ჭითანავას სახელით ახლახანს წვევამდელთა ოჯახებს გადაეცათ მადლობის წერილები.

წერილში აღნიშნულია, რომ **„სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სახელით, გულწრფელი მადლიერება გვსურს გამოვხატოთ თქვენი ოჯახის წევრის მიერ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობითი მსახურის გადაწყვეტილების მიღებისთვის.**

მისი მზადყოფნა ემსახუროს ჩვენს ქვეყანას, უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებს. გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაბიჯი თქვენთვის და ჩვენ ვაფასებთ მხარდაჭერას ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისათვის.

საქართველოს თავდაცვის ძალებში მსახური, არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება, არამედ აძლიერებს ახალგაზრდების პასუხისმგებლობას და უყალიბებს მათ დამოუკიდებლობასა და პროფესიონალიზმს.

გვჯერა, რომ თქვენი შვილი ღირსეულად და წარმატებით გაართმევს თავს ამ საპატიო მოვალეობას.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი შვილის მიერ გამოჩენილი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას“.

წარმატებებს გისურვებთ ბიჭებო!

გახსოვდეთ ვისი გორისა ხართ!

საანგარიშო კონცერტი დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

ყველა თერჯოლელი ინტერესით ადევნებს თვალს ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობისა და მიმდებარე სკვერში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და იმედოვნებს, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა და აღმზრდელი პედაგოგები ლამაზ, კომფორტულ, თანამედროვე სტილის შენობაში განაახლებენ მუშაობას. მანამდე კი, წლის შემაჯამებელი საანგარიშო კონცერტი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა კვლავ საბავშვო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა, სადაც სასწავლო პროცესს და ყველა სახის აქტივობას მთელი სასწავლო წლის მანძილზე წარმართავდნენ.

შეკრებილ საზოგადოებას, სტუმრებს, მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ რობაქიძეს და მოსწავლეთა მშობლებს მიესალმა სკოლის დირექტორი ვალერი კუბლაშვილი, მიულოცა საზეიმო თარიღი, ბედნიერება და კეთილდღეობა უსურვა თითოეულს.

საზეიმო კონცერტს უძღვებოდა პედაგოგი ნორა პერანიძე.

საქართველოს ჰიმნის საუკეთესო შესრულებისათვის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი) მხურვალე აპლოდისმენტებით დაჯილდოვდნენ.

შემდეგ კი ერთმანეთს ენაცვლებიან სიმღერებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შემსრულებლები: ხალხურ საკრავთა ანსამბლი, ხელმძღვანელი რამაზ მემანიშვილი, ცალკეული შემსრულებლები: სესილი გოგიაშვილი, ანანო მაკარიძე, მარიამ ჩუბინიძე, ილია რობაქიძე, ონისე ასამბიანი, ანამარია კვატაია, მარიამ გვენეტაძე, საბა ბარათაშვილი, შესრულდა ბერაძის, ფოცხვერაშვილის, ცაბაძის, კარკასის, ბზვანელის ნაწარმოებები, პედაგოგები: რობაქიძე, მაკა კუტივაძე, გულთამზე კუბლაშვილი, სოლო სიმღერის განყოფილების მოსწავლეები კომპოზიტორ გიგაურის ნაწარმოებით, პედაგოგი მაკა კუტივაძე, თათია აბესაძე-ილუსტრატორებთან ვალერიან და გულთამზე კუბლაშვილებთან ერთად ცაბაძის ნაწარმოებით, შემდეგ ისევ ხალხურ საკრავთა ანსამბლი აჭარულის მელოდიებით.

კომპოზიტორების: ივანოვას, თაქთაქიშვილის, მერაბიშვილის, კახა ცაბაძის, ბერკოვიჩის მუსიკალურ ნაწარმოებებს ასრულებდნენ: მარიამ რობაქიძე, ელენე უბირია, თეკლა ცხადაძე, ელენე ბარბაქაძე, პედაგოგები: ნორა პერანიძე, ცხადაძე, გიული გრძელიშვილი, დალი ჯიხაევი.

თითოეულმა მათგანმა წარმოდგენილი საკონცერტო ნომრებით აჩვენა, რომ სკოლაში, მიუხედავად ხიზნად ყოფნისა, ნაყოფიერი, შემოქმედებითი სასწავლო წელი ჰქონდათ, მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადადგეს მუსიკის, ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის გაცნობა-დაუფლების გზაზე. ამასთან ჰქონდათ გამოსვლები, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა თუ კონცერტებში, საიდანაც გამარჯვებული და სხვადასხვა ჯილდოებით გახარებულები ბრუნდებოდნენ.

სამუსიკო სკოლის კონცერტი შეაფასეს, მადლობა გადაუხადეს ამ დღის თითოეულ მონაწილეს, სკოლის პედაგოგებს და შემდგომი წარმატებები უსურვეს: მაკა ასათიანმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, მამა ანდრიამ (ყიფიანი), გია გიორგაძემ—საკრებულოს კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ. შორენა ბოჭორიშვილმა, სახელოვნებო განათლების ცენტრის უფროსის მოადგილემ, რომელმაც თავის მხრივ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ რობაქიძეს იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რასაც სამუსიკო სკოლის და საერთოდ, კულტურის სფეროს მიმართულებით იჩენს. რუსუდან ნიშნიანიძემ, საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ასევე მადლობა გადაუხადა სამუსიკო სკოლის დირექტორსა და პედაგოგებს გაწეული მუშაობისათვის და გამოხატა მადლიერება მუნიციპალიტეტის მერისა და მისი გუნდის მისამართით.

„შეიძლება ითქვას ესაა საუკუნის პროექტი“, ასე დაიწყო თავისი სამადლობელი სიტყვა სამუსიკო სკოლის დირექტორმა, „რადგან რაც სკოლა არსებობს მას ასეთი მასშტაბური რემონტი არ ჩატარებია, არ ვიცით მადლობა როგორ გამოვხატოთ, ყველანი ბედნიერები ვართ, ასეთია პედაგოგთა, მოსწავლეთა და მათი მშობლების აზრი, ის კი არა ისეთი ადამიანები მილოცავენ და ინტერესდებიან, როდის დასრულდება სკოლის რემონტი, არავითარი შეხება რომ არ აქვთ ჩვენს სკოლასთან“...

მანუჩარ რობაქიძე: **„მოგესალმებით ყველას, მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. მოგილოცავთ ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გილოცავთ თქვენს შემაჯამებელ ღონისძიებას, რომელიც შეძელით ნამდვილად მაღალ დონეზე წარმოგედგინათ.**

მადლობა ასეთი პროფესიონალიზმისათვის, საქმის ერთგულებისათვის. ჩვენ ყოველთვის მივესალმებით და დავაფასებთ თქვენს წინსვლასა და წარმატებებს...

მადლობა თითოეულ მოსწავლეს, რომელიც დღეს ასე მონდომებით და სიყვარულით ასრულებდა თავის სიმღერას თუ მუსიკალურ ნომერს. მართალია, რემონტი სკოლისა ცოტა გაჭიანურდა, თუმცა გპირდებით ახალ სასწავლო წელს სწავლას თქვენს კეთილმოწყობილ შენობაში შეუდგებით, შემდეგ საშემოდგომო კონცერტს უსათუოდ სკოლის განახლებულ სცენაზე ჩაატარებთ. თუ რაიმე შენიშვნა გაქვთ, შენობის თუ ეზოს მოწყობასთან დაკავშირებით გვითხარით და ისე დავასრულებთ, როგორც თქვენთვის, საზოგადოებისთვის იქნება მოსაწონი.

კიდევ ერთხელ მადლობა ბავშვებო, მშობლებო, პედაგოგებო, თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის სიძლიერე...

ყველაფერი იქნება კარგად, როცა ასე ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ“.

მზია ცქიფურიშვილი

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის

თერჯოლის პირველი საჯარო სკოლა

ინტეგრირებული ღია გაკვეთილი თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში (დირექტორი ელისო მურადაშვილი) ჩატარდა X[1] კლასში მათემატიკასა და სამოქალაქო განათლებაში (პედაგოგები მაია ბარათაშვილი, უჩა გვენეტაძე).

გაკვეთილის თემა იყო „სახელმწიფო და ეკონომიკა“. მიზანი: მოსწავლეებს დაესახელებინათ და აეხსნათ სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები. მაგალითად გადასახადების აკრეფა, გადანაწილება, ინფრასტრუქტურა და სოციალური დაცვა. განესახიერებინათ სხვადასხვა ეკონომიკური იდეოლოგიის (მემარცხენე, მემარჯვენე) პრინციპები და შეეფასებინათ მათი გავლენა საზოგადოებაზე. წარმოედგინათ მონაცემები ცხრილებსა და დიაგრამებში, აღერიცხათ ბიუჯეტის ნაწილის ხარჯვა და შედეგები.

მოსწავლეებმა გადაწყვეტილებების მიღება მოახდინეს მათემატიკური ანალიზის საფუძველზე, შეაფასეს შესაძლო შედეგები და შეარჩიეს ოპტიმალური ვარიანტები.

გაკვეთილზე განხორციელდა აქტივობები—მიმოიხილეს მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიები, მათი წარმატებული მოდელების ანალიზი, ეკონომიკური იდეოლოგიების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აქტივობა „მილიონი ეკონომიკაში“

თითოეულ გუნდს „მიეცა“ ერთი მილიონი ლარი და ორ სხვადასხვა ეკონომიკური იდეოლოგიის—მემარჯვენე და მემარცხენე—იდეოლოგებს უნდა გადაეწყვიტათ, როგორ დაეხარჯათ თანხა ისე, რომ იდეალურად აესახათ ხედვები ეკონომიკისა და საზოგადოების მოწყობაზე. მემარჯვენე და მემარცხენე გუნდებს გაეცნოთ ხარჯვითი კატეგორიები: განათლება, ჯანდაცვა, ბიზნეს სტიმულირება, სოციალური დახმარებები, სამხედრო ხარჯები.

აქტივობა—ქართული გადასახადის სახეები

„ვის ვბეგრავთ, რით ვბეგრავთ“? აქტივობის შესასრულებლად მოსწავლეებს დაურიგდათ ბარათები, რომლებზეც ჩამოწერილი იყო 6 ძირითადი გადასახადი (საშემოსავლო, დღგ, მოგების, ქონების, აქციის, იმპორტის) და 12 შესაძლო ვარიანტი, საიდანაც თითო საგადასახადო კატეგორიას შეესაბამება 2-2 თეზისი.

მოსწავლეებმა ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს.

„საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკი“

მოსწავლეებმა ისაუბრეს პირველ ქართულ—„საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის“ ისტორიაზე, აღნიშნეს, რომ ქართულ რეალობაში ვერ ისაუბრებ ეკონომიკის განვითარებაზე და საბანკო სექტორის მნიშვნელობაზე, რომ არ ახსენო ილია ჭავჭავაძე და მისი ბრძოლა XIX ს. მეორე ნახევარში, პირველი ბანკის დაარსებისთვის. მოსწავლეებმა ლექციის სახით წარმოადგინეს რა დანიშნულება ჰქონდა საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკს იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის და რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს ეროვნული ბანკის სახით.

როლური თამაში „SHARK TANK“-ის ანალოგიით სოციალურ მეწარმეების პრინციპებზე დაყრდნობით, მოსწავლეთა ორ ჯგუფს ჰქონდა მიწოდებული ორი ბიზნეს იდეა, რომელიც ამ იდეის პოტენციურ „დამფინანსებელთა“ ანუ დამსწრე საზოგადოების წინაშე უნდა წარედგინათ SWOT ანალიზის პრინციპის გამოყენებით.

ბიზნეს იდეები

„ადგილობრივი ხელნაკეთი პროდუქციის ონლაინ პლატფორმა და სოციალური საწარმოს შექმნა“, „ალტერნატიული ენერგიით მომარაგებული სარეკრეაციო სივრცე“. მოსწავლეებმა აღნიშნეს სოციალური მეწარმეობის როლის ზრდის პოზიტიურობა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის პროგრესის გზაზე, როგორც ინსტრუმენტის, რომელიც მოწყვლად ჯგუფებს სთავაზობს საკუთარ როლს და ადგილს საზოგადოების სასარგებლო საქმის საკეთებლად, ასაკის, მრწამსისა თუ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. და კიდევ ერთხელ გაიხსენეს ილია—„საქმე, გარჯა და მხნეობაა. ღონეც ამაშია ადამიანისა და ძლიერებაც. უამისოდ არც ფულია ღონის მიმცემი, არც უფულობაა ღონის დამკლები“.

ღია გაკვეთილი მაღალ დონეზე შეაფასა კომისიამ. ითქვა, რომ გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

ნაგარევის საჯარო სკოლა

ღია ინტეგრირებული გაკვეთილი ნაგარევის საჯარო სკოლაში (დირექტორი მარიამ მარგველაშვილი) ჩატარდა ინგლისურსა და გეოგრაფიაში მე-8 კლასში (მასწავლებლები: თეონა წერეთელი, ნინო ამბროლაძე), თემაზე—ტურიზმის სფეროს პროფესიები.

გაკვეთილის მიზანი იყო ტურიზმის სფეროში არსებული პროფესიების გაცნობა და აღწერა, კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების შედეგებთან: სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტების ადგილმდებარეობის განსაზღვრა ადგილსა და რუკაზე. სხვადასხვა ტიპის წყაროდან (რუკა, ფოტო, ცხრილი, გრაფიკი, დიაგრამა, აერო და კოსმოსური სურათები, მულტიმედია საშუალებები) ინფორმაციის ამოკითხვა და გაანალიზება. გაკვეთილზე მოსწავლეებს მონაწილეობა უნდა მიეღო ინტერაქციაში, მეტყველებისას გამოეყენებინათ უცხო ენაში ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული ფორმები.

გაკვეთილზე გამოიყენეს: საქართველოს რუკა, ელექტრო რესურსი, სამუშაო ფურცლები ლექსიკის სავარჯიშოებით, როლური თამაშის სცენარის ბარათები.

აქტივობები—საგანში გეოგრაფია

მასწავლებლის კითხვას—რა გახსენდებათ როცა სიტყვა ტურიზმი გესმით—მოსწავლეები თვლიან საკუთარ და მეტად საინტერესო ვერსიებს, დაფაზე გაკრულ ფლიპჩარტს, რომელზედაც დატანილია ტურიზმთან დაკავშირებული ქართული სიტყვები, მოსწავლეები ამ სიტყვების შესაბამის ინგლისურ სიტყვებს აკრავენ შესაბამისი ქართული სიტყვების გვერდით, რითაც გამოამჟღავნეს ინგლისური ენის ცოდნა. მოეწყო მინი ლექცია ტურიზმის სფეროში არსებული პროფესიების და ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმის როლზე, მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. კლასს მიეცა როლური თამაშის ინსტრუქცია, მათ შემთხვევითობის პრინციპით აირჩიეს როლები: ტუროპერატორი, ტურისტი, გიდი და მოქალაქეები. გაითამაშეს სცენა—ტურისტი გაუშვეს გელათის დასათვალიერებლად, შეახსენეს მიმართულებები დაფაზე გაკრული პოსტერის მეშვეობით—ინსცენირება მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინტერვიუმ, რომელთაც პატარა ბიჭის გიდად მუშაობის შესახებ არის გადაღებული უშგულში.

გაკვეთილზე დაისვა კითხვა, პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ დანიშნულებაზე—რამდენად საინტერესოდ დაინახეს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული პროფესიები და დაფიქრდნენ თუ არა ამ მიმართულების არჩევაზე.

მოსწავლეებს მიეცათ საშინაო დავალება—შექმნან ორენოვანი (ქართული, ინგლისური) ტურისტული ბუკლეტი საკუთარ სოფელზე, რითაც დააინტერესებენ უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტებს და გაუჩენენ სურვილს დაათვალიერონ სოფელი.

გაკვეთილი საინტერესოდ ჩატარდა. ორივე საგანში (ინგლისური და გეოგრაფია) მოსწავლეებმა კარგი მომზადება გამოავლინეს, კომისიამ მაღალ დონეზე შეაფასა გაკვეთილი.

საზანოს საჯარო სკოლა
დიპლომატიური გადაწყვეტილებები მათემატიკური მოდელებით

საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში საზანოს საჯარო სკოლის (დირექტორი მამუკა მექვაბიძე) IX კლასში, სადაც 15 მოსწავლეა, მათემატიკის მასწავლებელმა მადონა ჭანტურიძემ ჩაატარა ღია გაკვეთილი მათემატიკაში—დიპლომატიური გადაწყვეტილებები მათემატიკური მოდელებით. მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილისათვის მზადების პროცესში უთხრათ და ღია გაკვეთილზეც გაიმეორა, რომ მათემატიკა და დიპლომატია ერთი შეხედვით განსხვავებული სფეროებია, მაგრამ მათ შორის გარკვეული კავშირი მაინც არსებობს. ორივე დისციპლინას სჭირდება ლოგიკური აზროვნება, ანალიზი, სტრატეგია და პრობლემების გადაჭრის უნარი.

ნათლად გამოკვეთა გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებს ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინათ მათემატიკა და დიპლომატია.

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელმა დასვა კითხვები: რა არის დიპლომატია, ხომ ვერ დამისახელებთ რამდენიმე დიპლომატიურ ხელშეკრულებას? რომელი ომის დასრულების შემდეგ და რამდენ ხანს გაგრძელდა ვერსალის კონფერენცია? ვერსალის საზაო კომფერენციის პირობებით რომელი ქვეყანა გამოვიდა ყველაზე მეტად დაზარალებული? რა სახის ზარალი განიცადა გერმანიამ?

მოსწავლეებმა გამოთქვეს სხვადასხვა ვერსია, პარალელურად მასწავლებელი ავსებდა ასოციაციურ რუკას. მოსწავლეებმა ფაქტების დასახელება შეძლეს, რომელიც ისტორიის გაკვეთილზე ჰქონდათ ნასწავლი. კონკრეტულად რა სახის ზარალი განიცადა გერმანიამ გამოსახული რიცხვებში, მის დადგენას მასწავლებელი სხვადასხვა აქტივობებით შეეცადა. ჩაატარა ვერსალის ხელშეკრულების სიმულაციური გათამაშება. მოსწავლეები, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოთავსდნენ თავიანთი ქვეყნების მაგიდასთან, სადაც მათ დახვდათ ქვეყნების პოზიცია გერმანიის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციას არ ესწრებოდა დამარცხებული ქვეყნების წარმომადგენლები, გერმანია მოწვეულ იქნა, რათა მოეხდინათ ზავის პირობების ჩანიშვნა და გამოთვლა.

გერმანიას 1921 წელს დააკისრეს 132 მილიარდი ოქროს მარკის გადახდა. მოსწავლეებს რომ გაეგოთ რამდენად დიდი იყო ეს თანხა, გამოსახეს დოლარებში. 1921 წლის კურსით 1 დოლარი იყო 4,2 ოქროს მარკის ტოლფასი. გამოთვლების თანახმად მთლიანი თანხა გამოვიდა 31,4 მილიარდი დოლარი.

გამარჯვებული ქვეყნების პრემიერ მინისტრებმა წაიკითხეს თავიანთი ქვეყნების პოზიცია და გერმანიის წარმომადგენლებმა მოახერხეს მათი რიცხობრივი გამოთვლა.

გამარჯვებული ქვეყნების მოთხოვნები

საფრანგეთი ითხოვდა გერმანიის სამხედრო შეზღუდვებს და რაინის განიარაღებას, ელზას, ლოტარინგიის და სარის ტერიტორიების დაბრუნებას და დაწესებული გადასახადებიდან 50%-ის გადახდას.

დიდ ბრიტანეთს არ სურდა გერმანიის სრული ეკონომიკური განადგურება, იგი ითხოვდა საზღვაო ძალების შეზღუდვას და გადასახადის 22%-ის გადახდას.

☞8

მშვიდობისა და ბედნიერების გზა ახალგაზრდებო...

ბოლო ზარი! ბოლო გაკვეთილი!

20 მაისი...

სიხარულითა და სევდით გაჯერებული ბოლო ზარის დღე და მაინც ულამაზეს-უდიადესი თითოეული კურსდამთავრებულისათვის.

ხვალ სხვანაირად გათენდება მათ ცხოვრებაში.

ხვალ სხვანაირად შეეგებებიან მზის ამობრწყინებით გაცისკროვნებულ არემარეს, სხვა ფიქრები მოეძალებათ, ახალი ცხოვრების დასაწყისს რომ ახლავს თან...

ამ დღეს ისევ სკოლას ეკუთვნიან და სკოლაც მათია ისევ, ამიტომ ის მომენტია, როცა თავდავიწყებამდე სიყვარულით უნდა მიესათუთონ, მოეფერონ თითოეულ დღეს, რომელიც აქ, ამ საოცარ სამყაროში გაატარეს 12 წლის განმავლობაში, მოეფერონ პედაგოგებს, თანაკლასელებს. ჯერ ისევ ბავშვურად, მიამიტურად ისაუბრონ ფიქრებზე, განცდებზე, შთაბეჭდილებებზე, რომელიც სამუდამოდ მათში დარჩება და ვერაფერი წაშლის მათი გონებიდან...

ადრე სკოლის კურსდამთავრებულთა ბოლო ზარი ასოცირდებოდა მხოლოდ წარწერებიან მაისურებთან, საზეიმო მსვლელობებთან, ავტომობილების ხმაურიან სიგნალებთან, შემდეგ კი საბანკეტოდ გამოპრანჭულ ქალ-ვაჟებთან, თუმცა ბოლო წლებია ეს გარკვეულწილად შემოქმედებითი საღამოებით შეიცვალა. ამის დასტური იყო თერჯოლის №2 საჯარო სკოლის 48-ე კურსდამთავრებულთა ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც კულტურის სახლის დარბაზში გაიმართა.

თანაკლასელთა წარწერებით აჭრელებული თეთრპერანგიანი გოგო-ბიჭები უკვე სცენაზე იყვნენ, როცა შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კლასის დამრიგებელი სოფო სიუკაევა, მან მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, კურსდამთავრებულებს, მათ მშობლებს, მადლობა გადაუხადა მე-11 კლასის მოსწავლეებსა და ხელმძღვანელებს, სკოლის დირექციას, ყველას, ვინც გვერდით დაუდგა მეთორმეტეკლასელებს, რომ ეს დღე მათ ცხოვრებაში ყოფილიყო ლამაზი და დაუვიწყარი. შემდეგ სკოლის დირექტორი ფიქრია დემეტრაშვილი მიესალმა და მადლობა გადაუხადა სტუმრებს და საზეიმო ღონისძიებაც დაიწყო.

სცენარის მიხედვით ყველაფერი ლამაზად გაიარეს...

კურსდამთავრებული გოგო-ბიჭები ლექსებითა და პროზაული ტექსტებით იხსენებდნენ 12 წლის წინ დედასთან ერთად სკოლაში მისვლის პირველ დღეს, პირველ ზარს, პირველ მასწავლებელთან შეხვედრის მომენტს, იხსენებდნენ სასკოლო ცხოვრების ლამაზ წუთებს, სიყვარულის, სიხარულის, სიცელქის, სიზარმაცისა თუ სიბეჯითის იმ 12 წელიწადს, რომელსაც ვერასოდეს დაივიწყებენ. ეს წლები ხომ მათი ბიოგრაფიის მარადიული ნაწილი გახდა და ვერც ერთი მოგონება ვერ შეედრება იმ წლების მოგონებებს.

ყველაფერი ისეა ლამაზად აწონილ-დაწონილი და დალაგებულ-გადმოცემული საუკეთესო ახალგაზრდობას რომ შეჰფერის, როცა რომანტიზმი, სიყვარულის სიდიადე და ნოსტალგია ერთმანეთშია გადანასკვული, როცა ფიქრობ რომ მართლაც აქ იწყება და აქ მთავრდება სამყარო.

ამის პარალელურად, ჩართვებით, იყო ერთმანეთზე საუკეთესოდ მომზადებული სასიმღერო თუ საცეკვაო ნომრები, არ შემიძლია განსაკუთრებული ხაზგასმით არ აღვნიშნო ახოვანი ვაჟების და ულამაზესი გოგონების მიერ შესრულებული ოსურ-აფხაზურ-ქართული ცეკვების პოპური, გულგრილი, ცრემლების გარეშე რომ ვერ უყურებდით.

შემდეგ იყო არაჩვეულებრივად ლამაზი პოეზიის ბლოკი...

იყო სიცრუის დეტექტორი და სიცრუეში „გამოჭერილი სოფო მასწავლებელი“.

მოხდენილი იუმორიც ალამაზებდა და ახალისებდა დარბაზს...

თუმცა, თურმე ყველაფერი ჯერ წინაა.

წამყვანმა ყველასათვის საყვარელი ქართული კინოფილმის „სიყვარული ყველას უნდა“ თერჯოლური ვარიანტის ჩვენება დააანონსა და დარბაზს სიამოვნების ემოციამ გადაუარა. ამ სკოლაში სახალისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება-ჩვენება, რომელიც კარგად ხელეწიფებათ, უკვე ჩვეულებრივი ამბავია.

შთამბეჭდავი და სახალისო იყო ფილმის პირველივე კადრები, რომელშიც ახლანდელი კურსდამთავრებული გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. დარბაზში ხშირად გაისმოდა მოწონების შეძახილები და აპლოდისმენტები, ისე, როგორც ღონისძიების დაწყებიდან ყველა ნომრის წარმოდგენისას...

ძალიან კარგად მოურგიათ როლები, შერჩეული „მსახიობები“ ხომ საერთოდ სასურველის ნამდვილი მიგნებაა. ყველა სცენა ერთმანეთზე უკეთესია და მხიარული...

დიდხანს არ წყდებოდა აპლოდისმენტები...

თანამედროვე უცხოურ ჰიტებზე აცეკვებული გოგო-ბიჭებიც ძალიან საყვარლები იყვნენ...

ნომინაციების დაჯილდოებაც კარგად მოფიქრებული იუმორისტული ნომერი იყო...

და მაინც ყველაფერი გადაწონა ქართულის ბოლო გაკვეთილმა...

სოფო სიუკაევა ამ კლასის დამრიგებელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო მე-5 კლასიდან ბოლომდე და ეს იყო მისი პირველი სადამრიგებლო კლასი. ყველა გაკვეთილი და მათი ყველა შეხვედრა სწავლა-აღზრდის განსაკუთრებული სინთეზი იყო, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის გულწრფელ მეგობრობაზე, სიყვარულზე, ურთიერთგაგებასა და ურთიერთნდობაზე გადიოდა.

ერთად გაიარეს სასკოლო ცხოვრების 8 წელი, ერთად გაინაწილეს წარმატებების თუ წარუმატებლობასთან დაკავშირებული სიხარული თუ ტკივილი.

იყო ფერადი დღეები, ერთმანეთს არც ერთი არ გავდა, იყო პრეზენტაციები, კომპლექსურები, პროექტები, ექსპერიმენტები, ექსკურსიები, ეს ყველაფერი კი მათ სასკოლო ცხოვრებას ულამაზეს ხდიდა. აქ არ იყო გარჩევა ვინ იყო განსაკუთრებულად წარმატებული ან ჩამორჩენილი. სასწავლო წლის დასასრულს დამრიგებელი, რომელიც ყოველწლიურად საზეიმო ხასიათს აძლევდა, ყველა ბავშვი იმის მიხედვით იღებდა წამახალისებელ სიგელს, რაც განსაკუთრებით კარგად გამოუდიოდა... ვინ ქართულის, მათემატიკის, უცხო ენის და ა.შ. კარგად სწავლისათვის, ვინ კიდევ სპორტის, ცეკვის, სიმღერისათვის, მეგობრობისთვისა და ა.შ. ყველა იყო ბედნიერი და გახარებული.

როგორი დამოკიდებულება იყო მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ეს ღონისძიებაზე მოსწავლეების მიერ არაერთგზის გაცხადებულმა სიყვარულმა და შეფასებამ კარგად აჩვენა.

* * *

ბოლო გაკვეთილის ზარი დაირეკა, სოფო მასწავლებელი ქართულის გაკვეთილს ატარებს: „ძვირფასებო, ადამიანისათვის უმთავრესი ღირებულებებით ცხოვრებაა, სხვა შემთხვევაში ის ვერ მოახერხებს იცხოვროს ღირსეულად. სკოლა ის ადგილია, სადაც საგანთან ერთად ღირსეულ ადამიანად ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. ჩვენ ერთად 8 წელი გავატარეთ. ამ ხნის განმავლობაში იყო სირთულეებიც, წარმატებებიც და მაიც ერთმანეთის გვერდით დგომით ბევრი რამ შევძელით. ახლა დადგა დრო ხელი გაგიშვათ გულდამშვიდებულმა, რომ ღირებულებებით სავსეს გიშვებთ და შეძლებთ თქვენი ადგილი დაიმკვიდროთ ცხოვრებაში, გაუკვალავი გზები გაკვალოთ და ისე იცხოვროთ, რომ თქვენი კვალი დატოვოთ“.

ბოლო გაკვეთილი ერთგვარი შეჯამება იყო იმ ყველაფრისა, რასაც ყოველდღიურად სწავლობდნენ და რაც ყველა საგნის სწავლას გადაწონის. ეს იყო ერთგვარი გზამკვლევი მთელი ცხოვრების მანძილზე, რომ გამოადგებათ, ამ ახალგაზრდებს, ყველაფერზე ამაღლებული და ღირებული რომაა და თითოეული ქართველის სულსა და გულს უნდა ჰქონდეს ოქროს ასოებით ამოგვირისტებული...

ბოლო გაკვეთილმა აჩვენა, რომ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის წლევანდელ კურსდამთავრებულთა შემთხვევაში მართლაც ასეა...

„უმთავრესი ღირებულება, რომელსაც გატანთ ქვეყნის სიყვარულია, თითოეულ თქვენგანს უნდა გააჩნდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ზესახელმწიფოებრივი აზროვნება, უნდა გააცნობიეროთ რომ კონკრეტულად იგია ქვეყნის პატრონი და მოუარეთ ახალგაზრდებო საქართველოს“, შემდეგ მან ახალგაზრდებს შეახსენა, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ღირებულება, რამაც დღემდე მოგვიყვანა „მამული, ენა და სარწმუნოებაა“, რომ ისტორია უნდა ისწავლონ ძალიან კარგად. დაიმახსოვრონ თითოეული ადამიანის მოვალეობა რომაა სავალი გაუადვილოს შემდეგ თაობებს, რომ წუთისოფელთან ბრძოლაა საჭირო, ცხოვრებაში სიყვარულია მთავარი და ა.შ.

„მოსწავლეები“ კი ამის საპასუხოდ იხსენებდნენ გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებსა თუ სტრიქონებს გონივრულად, გააზრებულად და განამტკიცებდნენ აზრს, რომ კარგი მოძღვრის კარგი შეგირდები არიან... ანუ ბოლო გაკვეთილზე ბოლო „გამოცდაც“ წარმატებით ჩააბარეს, რომ ცხოვრებაში „ივარგებენ“...

ტკივილით და სევდით გაიხსენეს თავიანთი პირველი მასწავლებელი, ეთერ თურქაძე, „ჩვენი ეთერი მასწავლებელი ეტალონი იყო მასწავლებელთა შორის, ღირსეული თბილი და განათლებული. არასოდეს დაგივიწყებთ ძვირფასო მასწავლებელო“.

გვინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველას, ვისაც ჩვენს აღზრდაში წვლილი მიგიძღვით, უპირველესად ჩვენს დამრიგებლებს: სოფოს, მაკას, მაიას, მირანდას... გვიყვარხართ უზომოდ. მადლობა აგრეთვე თქვენ, ფიქრია მასწავლებელო, რუსუდან მასწავლებელო, მადონა მასწავლებელო, თეა მასწავლებელო, მადლობას გიხდით თავდადებული შრომისათვის, ჩვენო მასწავლებლებო, დირექციის წარმომადგენლებო, ჩვენს ცხოვრებას გაჰყვება თქვენს გვერდით გატარებული ბედნიერი წლები, როგორც საყრდენი, საფუძველი მომავლისა და თბილი და ტკბილი მოგონება ბავშვობისა...

დღევანდელი დღე ასეთი ვერ იქნებოდა, რომ არა ჩვენი პედაგოგების: სოფო სიუკაევას, თეა რიჟამაძის, ინეზა ბუცხრიკიძის, ირაკლი ლილუაშვილის, ჭანკვეტაძეების დიდებული ოჯახის თავდადებული შრომა, მადლობა კულტურის სამსახურს გვერდით დგომისთვის, მადლობა ანა დევიძეს გიტარით ჩვენი საღამოს გალამაზებისთვის.

№2 საჯარო სკოლის 36-მა წარმატებულმა კურსდამთავრებულმა, ერთ-ერთი საუკეთესო, მხიარული და შინაარსიანი დღე აჩუქეს მაყურებლებს და საკუთარ თავსაც.

№2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა ბოლო ზარის ზეიმს უამრავ მაყურებელთან ერთად (ანუ რამდენის დატევაც შეძლო კულტურის სახლის დარბაზმა) დაესწრნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოის თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე. დასასრულს ისინი სცენაზე მიიხმეს.

ქეთევან შეყრილაძემ, გიორგი ბარათაშვილმა და მანუჩარ რობაქიძემ სკოლის დამთავრება და ცხოვრების ასპარეზზე გასვლის უმნიშვნელოვანესი, ლამაზი დღე მიულოცეს როგორც ამ სკოლას, აქ მოზეიმე გოგო-ბიჭებს, აქედან მიულოცეს აგრეთვე დანარჩენი სკოლების კურსდამთავრებულებს, როგორც თერჯოლაში, ასევე სრულიად საქართველოში. უსურვეს ბედნიერ, გაბრწყინებულ და თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრება. „მომავალი თქვენია, ძვირფასო კურსდამთავრებულებო, იდღეგრძელეთ და თქვენი აგურიც დადეთ ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნაში, გვეიმედებით“...

მზია ცქიფურიშვილი

იმედად და სიძლიერედ შემატებოდეთ მამულს!

ოცი კურსდამთავრებული, ოცი ფოიერვერკი და ათასი მადლობა

ძევრის საჯარო სკოლაში ყოველი დღე გამორჩეულია, მაგრამ ოც მაისს, ბოლო ზარის ზეიმს, განსაკუთრებული სითბო და ელფერი ახლდა. ტერიტორია, სადაც ახალი სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს, შემოფარგლულია. შორიდან თვალში არ მოგხვდებათ „ურიცხვი“ ეროვნული დროშა, რომელიც ყოველდღიურად ფრიალებს სკოლის ეზოში, მაგრამ სკოლის დირექტორი მანუჩარ ფანჩულიძე ბოლო ზარის ზეიმს დროშის გარეშე როგორ ჩაატარებდა!

დირექტორის თვალი და ყური, სხვადასხვა დროს მისული სტუმრებისაკენ იყო მიმართული. მხედველობიდან არავინ და არაფერი გამორჩენია, ბოლო ზარის ზეიმს და

სკოლის იუბილეს, რომელსაც ყოველწლიურად აღნიშნავენ, დიახაც შვენოდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უფროსკლასელი ბიჭები.

ზეიმზე მოვიდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და რეკრუტირების თერჯოლის მუნიციპალური განყოფილების უფროსი, ვიცე პოლკოვნიკი ვასილ ტყეშელაშვილი, ვეტერანების საქმეთა სამსახურის იმერეთის რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელი გია ლილუაშვილი, სკოლის ყოფილი დირექტორი ავთო ჯიბლაძე, ყოფილი კურსდამთავრებულები, ახალი სკოლის მშენებლები, მოსწავლეთა მშობლები, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელი მუშაკები.

ზეიმის დაწყებამდე შევხვდი კურსდამთავრებულთა მშობლებს: ლელა ფანჩულიძე (ავთანდილ ყურაშვილის დედა) „ავთო ნიჭიერია, მაგრამ ცოტა ზარმაცი. ისტორიის ფაკულტეტზე აბარებს ეროვნულ გამოცდებს. ოჯახი მხარს უჭერს მის გადაწყვეტილებას. ძალიან უყვარს სკოლის ღონისძიებებში მონაწილეობა. სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ილიკოს როლი შეასრულა. მადლიერი ვარ ძევრელი პედაგოგების, დიდი ამაგი აქვთ მათ არა მარტო ჩემს შვილზე, არამედ თაობებზე“. ნუნუ გიორგაძე (მარიამ მეფარიძის დედა) „მარიამი ფილოლოგიურზე აბარებს. ძალიან უყვარს სკოლა და მეგობრები. მიხარია, რომ კარგი თაობა მოდის. მინდა, რომ ცხოვრების უფრო დიდ გზაზე გამოსვლა, როგორც ჩემი შვილისთვის, ისე ძევრის და თითოეული კურსდამთავრებულისთვის წარმატებული იყოს, მშვიდობა ჰქონდეთ, მე მიყვარს ახალგაზრდები“.

ძევრის მკვიდრი, პოლკოვნიკი დონი ფანჩულიძე ადრე მოვიდა, მან ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, სკოლის ისტორია და წარსული გაიხსენა, მაგრამ ეს სიტყვა არ ყოფილა მოსაწყენი, პირიქით, მოუხდა ზეიმსაც და სკოლის იუბილესაც. მანამდე კი თქვა: **„იმედიანად ვარ, მიუხედავად არასახარბიელო დემოგრაფიული ვითარებისა, ქართველი არ გადაშენდება, არ დაეცემა, შენარჩუნდება ტრადიციები, ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოება. ჩემი თაობაც ცდილობდა მყარი ცოდნა მიეღო, სხვანაირი იყო მოსწავლე-მასწავლებლის დამოკიდებულება. მახსოვს, კლასის დამრიგებელი სამეცადინო კუთხის შესამოწმებლად რომ მოვიდა სახლში, დავიმალე. პატრიოტი თაობა მოდის. მარტო შმაგი სოფრომაძე რად ღირს“.**

საზეიმო ღონისძიება მანუჩარ ფანჩულიძემ გახსნა. აღნიშნა, რომ სკოლა დიდი ტრადიციებისაა, მრავალი თაობა გაიზარდა, წლევანდელი მეთორმეტე კლასელებიც საუკეთესოები არიან, **ოცი რჩეული ძევრელი გამოვიდა ცხოვრების უფრო დიდ გზაზე. მერე მოიხმო ისინი, ხალხით სავსე ეზო ფეხზე წამოუდგა მომავალს, ოცი ფოიერვერკის ხმა გაისმა და მათაც საპატიო ადგილები დაიკავეს, მათ გვერდით იყვნენ მომავალი პირველკლასელები, საიმედო ცვლა და მეთერთმეტე კლასელები. „სტუმრებს კარგი ფეხი აქვთ“**—იხუმრა მანუჩარმა. შარშანდელი შედეგები ალბათ განმეორდებაო.

მრავალფეროვანი, საინტერესო და საქმიანი იყო ღონისძიების პროგრამა, ყველაფერს, სტუმრების და მასპინძლების გამოსვლებს, ლექსს, სიმღერას, ცეკვას, პატრიოტული სული და იმედი გასდევდა, შმაგი სოფრომაძის „ძევრულას ნაპირებზე მორბენალი ბიჭის“, დიდ სამამულო ომში დაღუპული 160 ძევრელის, გარდაცვლილი პედაგოგების, მოსწავლეების ხსოვნასაც... **„ეს ბიჭები, თუ დასჭირდება ქვეყანას, თოფსაც გაისვრიან და შმაგის გმირობასაც გაიმეორებენო“.** ღონისძიების მსვლელობისას აჟღერდა საქართველოს ჰიმნი.

მანუჩარ ფანჩულიძემ კიდევ ერთხელ შეაქო და სიამაყით ახსენა რეჟისორი ტატო პატარიძე, მისი სპექტაკლები და მონაწილე ბავშვები, ორი თვის წინ შექმნილი და უკვე საკონცერტო მზაობის მქონე ცეკვის ანსამბლი „შავნაბადა“, სკოლის „ოქროს ხმა“ ნინო სოფრომაძე, სკოლის „თავი ქალი“ ბარბარე კალატოზი, კარატისტები, მოჭიდავეები, ფეისბოლელები, ლექსის მხატვრული კითხვის „ოსტატები“ გაბრიელ მეფარიძე, ალექსი გუგუშვილი... შესრულდა მხატვრული ნომრები, შვენოდათ ჩაცმულობა, სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინაც მცირე წვლილიც კი შეიტანა ძევრელი მოსწავლეების მხარდასაჭერად.

წლებია სკოლის სპონსორმხარდამჭერია ამერიკელი ქეთი მაკლეინი, ის ყოველწლიურად აფინანსებს ძევრელ სტუდენტებს, უწევს სხვა დახმარებებს. როგორც მანუჩარ ფანჩულიძემ თქვა—კურსდამთავრებულები ბანკეტზე ქეთი მაკლეინმა დაპატიჟა.

მანუჩარმა ბევრს მისცა სიტყვა: გია ლილუაშვილმა, ვასილ ტყეშელაშვილმა, დონი ფანჩულიძემ, ნარგიზ პატარიძემ, ნონა კვახაძემ, შაქრო ბერძენიშვილმა, მაკენზი სმინტმა (ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი), ტატო პატარიძემ მაღალი შეფასება მისცეს ღონისძიებას, კურსდასმთავრებულებს მიულოცეს სკოლის დამთავრება და წარმატებები უსურვეს.

სკოლის პედაგოგებმა, რომლებიც 12 წლის განმავლობაში მათი აღზრდის სამსახურში იყვნენ, მოიხადეს თავიანთი ვალი, მაგრამ არა ბოლომდე, ამიტომ თქვეს პირველი კლასის მასწავლებელმა მარინა ბოგვერაძემ, კლასის ხელმძღვანელმა ლია ლილუაშვილმა „თქვენი ნაბიჯების თვალყურის მადევნებლები ვიქნებითო“.

სამახსოვრო საჩუქრები...

რამდენ ხანს აგროვებდა საჩუქრებს, ან რა სახსრებით, სკოლის დირექტორს არ დაუზუსტებია, მაგრამ მრავლად რომ გასცა ფაქტია. სიმბოლური ჩოხები, დიდი და პატარა არწივის, ახალგაზრდების ფიგურები და ნახატი—უნაგირდაუდგმელი ცხენების სრბოლა...

20 მაისს გია ლილუაშვილის დაბადების დღე იყო. მანუჩარმა მიულოცა და საჩუქარიც გადასცა.

„რომ არა ერთი კაცი“

ოცი კურსდამთავრებული და ოცი მოკლე სიტყვა და ერთი აზრი—**„დიდი მადლობა სკოლას, ყველა პედაგოგს, რომ არა ერთი კაცი, რომ არა მანუჩარ მასწავლებელი და დირექტორი, ძევრის სკოლა ასეთი წარმატებული არ იქნებოდა, არ გვიხარია სკოლის კედლებს რომ ვტოვებთ, მუდამ გვექნება მონატრება, მადლობა გამძლეობისათვისო“.** კი, ასე თქვეს, მაგრამ მასწავლებლებმა ამ კურსდამთავრებულებს, ერთ-ერთი საუკეთესო გამოშვება უწოდეს.

ბოლოს დირექტორმა კურსდამთავრებულები მოედანზე მიიწვია, საფინალო ცეკვა შეასრულა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ოქროს კაცები...

ამ სიტყვებით მიმართა „მზეკაბანი-2007“-ის სკოლის კურსდამთავრებულებს დირექტორმა აზა მემანიშვილმა ბოლო ზარის ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე და სხვა მოწვეული სტუმრები, რომლებმაც გულთბილი სიტყვები არ დაიშურეს მათ მიმართ. შეუქეს სწავლა-გარჯაში სიბეჯითე და მოუწოდეს —არ დაივიწყონ მშობლიური სკოლა და მუნიციპალიტეტი.

მართლაც, რომ გამორჩეული „ოქროს კაცებია“ ამ სკოლის მე-17 თაობა. მათ „შვიდკაცასაც“ ეძახიან, „შესანიშნავი შვიდეულიც“ არ იქნებოდა ურიგო. პირველად გვყავდა სკოლის 18 წლიანი ისტორიის განმავლობაში ძალიან მცირე რაოდენობა კურსდამთავრებულებისა და მხოლოდ ვაჟები. მზეკაბანის „შვიდკაცა“ - ასე შევარქვით მათ.

მათგან 3 ოქროს, ხოლო ერთი ვერცხლის მედალოსანია.

საბა კვახაჯელიძე, ნიკა გურული, ვლად ჭანტურიძე, გიორგი საყვარელიძე, ირაკლი დიაკონიძე, ბეჟან ზანდარაშვილი და ომარ ქათამაძე.

იური აბჟანდაძე მეათე კლასის დასრულების შემდეგ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად და სასწავლებლად დედაქალაქში გადავიდა. ორი წლის განმავლობაში მას კავშირი არ გაუწყვეტია მშობლიურ სკოლასთან, ამიტომაც ბოლო ზარი მზეკაბანში აღნიშნა მეგობრებთან ერთად , „მშობლიურ“ გარემოში.

წარმატებით გევლოთ ცხოვრების ახალ გზაზე!

„ვირჩევ პროფესიას“—რესურსცენტრის პროექტი თაობის პროფესიული ორიენტაციისათვის

5☞

საზანოს საჯარო სკოლა დიპლომატიური გადაწყვეტილებები მათემატიკური მოდელებით

აშშ-ს სურდა საერთაშორისო ორგანიზაცია „ერთა ლიგის“ შექმნა და არ ითხოვდა ფულად გადასახადს.

იტალია ითხოვდა ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიებს და დაწესებული გადასახადის 5%-ს.

იაპონია გერმანიის კოლონიების გადაცემას წყნარ ოკეანეში და ჩინეთში და არ ითხოვდა ფულად გადასახადს.

ბელგია ეიპენისა და მალმედის ტერიტორიებს და გადასახადის 7%-ს ითხოვდა.

პოლონეთი ითხოვდა დასავლეთ პრუსიის, პოზნანისა და ზემო სილუზიის მიწების დაბრუნებას და 14%-ს დაკისრებული გადასახადიდან.

ლიტვა მოითხოვდა მემელის რეგიონის გადაცემას.

დანია მოითხოვდა ჩრდილოეთ შლეზვინგის ტერიტორიების დაბრუნებას.

გერმანიის წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაცია, გამოთვალეს თითოეული სახელმწიფოს პოზიცია რიცხობრივად.

* * *

დაკისრებული თანხა სხვადასხვა გზით უნდა გადაეხადათ ქვეყნებისათვის. მასწავლებელმა მოსწავლეებს წარუდგინა წრიული დიაგრამა, რომლის თითოეული სექტორი შეესაბამებოდა გადასახადს. მოსწავლეები დაჰყო ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მისცა სხვადასხვა სექტორი. მოსწავლეებმა ტრანსპორტირის საშუალებით გაზომეს სექტორის ცენტრალური კუთხის გრადუსული ზომა და პროპორციის საშუალებით დაადგინეს გადასახადების რაოდენობა.

პირველმა ჯგუფმა გამოთვალა ფულადი გადასახადი (ნაღდი ფულით) და მიიღო 50 მილიარდი ოქროს მარკა. მეორე ჯგუფმა გამოთვალა ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდება (ქვანახშირი, რკინა, მერქანი) და მიიღეს 40 მილიარდი ოქროს მარკა. მესამე ჯგუფმა ინდუსტრიული აღჭურვილობის გადატანაში (ქარხნები, ტექნიკა) მიიღო 17 მილიარდი ოქროს მარკა. მეოთხე ჯგუფმა სამხედრო კომპესაციებში (გემები, ტექნიკა, იარაღი) მიიღო 15 მილიარდი ოქროს მარკა. მეხუთე ჯგუფმა გამოთვალა ინფრასტრუქტურული კომპენსაციები (გზები, რკინიგზა) და მიიღო 10 მილიარდი ოქროს მარკა.

საბოლოო მონაცემების წარმოდგენის შემდეგ მათ დააჯამეს მიღებული თანხა და შეამოწმეს ჰქონდათ თუ არა ცდომილება. საამისოდ მასწავლებელმა ცხრილის სახით წარუდგინა თუ რა ტერიტორიები დაკარგა გერმანიამ და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა. მოსწავლეებმა გამოთვალეს, რომ გერმანიამ დაკარგა ტერიტორიების 14,6 %-ი, მოსახლეობის 11,2%-ი, გერმანიის რუკას მოაშორეს აღნიშნული ტერიტორიები და მიიღეს გერმანიის რუკის ახალი სახე.

ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ამოცანა—ხელშეკრულების პირობებით გერმანიას არ ჰქონდა 100 000 კაცზე მეტი არმიის ყოლის უფლება. 1914 წლისთვის 4 500 000 არმია ჰყავდა. რამდენი %-ით შემცირდა გერმანიის არმია?

მოსწავლეებმა დაადგინეს გერმანიის არმია შემცირებულია 47%-ით, რაც დიდი დანაკლისი იყო. გაკვეთილის შეჯამების მიზნით მასწავლებელმა მოსწავლეებს ერთი ფრაზა წარუდგინა—ვერსალის ხელშეკრულება დიპლომატიური გამარჯვება, თუ საერთაშორისო კრიზისის დასაწყისი.

მოსწავლეებმა გამოთქვეს ვარაუდები. ზოგი გერმანიის მხრიდან განიხილავდა, როგორც კრიზისს და ზოგიც თვლიდა, რომ გამარჯვებული ქვეყნებისთვის ეს იყო დიპლომატიური გამარჯვება.

მოსწავლეების ვერსიების გასავრცობად მასწავლებელმა მიიწვია კლასის ისტორიის მასწავლებელი ანზორ ბერუაშვილი. მან ისაუბრა დიპლომატიაზე და კითხვაზე—რა არის დიპლომატია და როგორი ადამიანი გესახებად დიპლომატად—მოსწავლეებმა, სხვადასხვანაირად, მაგრამ ამომწურავად უპასუხეს. რამდენიმე ფიქრობს პროფესიად დიპლომატია აირჩიოს.

გაკვეთილი მაღალ დონეზე შეფასდა, იგი იყო გამორჩეული და საინტერესო.

ჟუჟუნა ცხადაძე

რას ფიქრობს მომავალი თაობა

ფიქრები ოთხ მნიშვნელოვან მოვლენაზე

ბოლო ზარის ზეიმი, უმაღლეს სასწავლებელში სასურველ პროფესიაზე ჩარიცხვა, გრანტის მოპოვება და მედლების გადაცემა მნიშვნელოვანი მოვლენა არის ახალგაზრდების ცხოვრებაში. სწორედ ამ ოთხი მნიშვნელოვანი მოვლენის გამო მივმართეთ ოქროს მედლების და 100%-იანი გრანტის მფლობელებს.

კითხვა: რა იგრძენით, როცა სკოლა დაამთავრეთ, სტუდენტიც გახდით და გრანტიც მოიპოვეთ, ახლახან კი მედლებიც მიიღეთ. როგორია თქვენი უახლოესი და შორს მიმავალი გეგმები?

სკოლის დამთავრება ერთდროულად ცარიელი დერეფანი და ფანჯარაა, რომელიც ფართოდ იღება მეთორმეტე კლასელებისათვის. ჩემთვის არც თუ ისე მარტივი გზა იყო, რადგან სკოლის დასრულების მომენტში ძალიან ბევრმა ემოციამ მოიყარა თავი, თითქოს მიხაროდა, რომ ერთ-ერთი თავგადასავალი დასრულდა, მაგრამ ამავდროულად მწუხარებაც მახრჩობდა, რადგან მეგობრებთან და საყვარელ მასწავლებლებთან განშორება მიჭირდა. ამ დროს ვგრძნობდი, რომ ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები მელოდა. სკოლის წლები ყველაზე ტკბილ მოგონებებად მახსენდება და ვფიქრობ ყველა ადამიანში იმავე ემოციას იწვევს. სკოლის დამთავრებას თან სდევდა უამრავი პასუხისმგებლობა, რომელსაც პირველ რიგში ჩემი თავის წინაშე, შემდგომ კი ჩემი ოჯახის წინაშე ვგრძნობდი. მინდოდა 12 წლის განმავლობაში ჩემი მშობლების გაწეული ამაგი დამეფასებინა. შესაბამისად დავიწყე შრომა წარმატებისთვის, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია. გრანტის მოპოვება ჩემთვის ყველაზე დიდი პირველი წარმატება და გამოწვევა იყო, რაც დამეხმარა ჩემი მიზნების მიღწევაში და უფრო მეტი შესაძლებლობის აღმოჩენაში. ჩემი აზრით, „ყველაფერი რაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ შესაძლებელია“.

სტუდენტი რომ გავხდი, ახალი სამყაროს კარი გაიხსნა ჩემთვის. ეს იყო კარი, რომელიც თავად გავაღე, ეს იყო პასუხისმგებლობის ახალი გზის დასაწყისის ფერები. თავდაპირველად თითქმის ხმაურიანი სივრცე, სავსე უცხო სახეებით და უსასრულო შესაძლებლობებით. და მაინც, ამ რეალობაში იყო რაღაც, რომ ყველაფერს რასაც აქამდე ვსწავლობდი პირველად მიეცა მნიშვნელობა.

ახლახანს მიღებული მედალი კი ჩემი

შრომის შედეგი და დიდი პატივია. ეს არ არის მხოლოდ პირადი წარმატება, არამედ პასუხი იმაზე, რომ შრომა და თავდადება ყოველთვის შედეგს იძლევა. მადლიერი ვარ ყველა ადამიანის, ვინც ამ პროცესში მხარი დამიჭირა.

რაც შეეხება ჩემს გეგმებს, მოგეხსენებათ ვსწავლობ ბიზნეს ანალიტიკის ფაკულტეტზე. უკვე მეორე წელია ვმუშაობ სამშენებლო კომპანია „ანაგში“, კერძოდ ფინანსების განხრით. ჩემი უახლოესი გეგმებია ამ სფეროში მეტად განვითარება და კიდევ უფრო დიდი გამოცდილების მიღება, რისი შესაძლებლობაც ვფიქრობ მომეცემა. შორს მიმავალი გეგმები ესე გაწერილად არ გამაჩნია, თუმცა ჩემი მიზანია ვიყო წარმატებული ჩემს სფეროში, რომელიც მომწონს და ვფიქრობ, დიდ წარმატებასაც მომიტანს.

მარიამ ქოჩიაშვილი,
თერჯოლის №1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

სკოლის დასრულება ჩემთვის მხო-

ლოდ აკადემიური ეტაპის დასრულება არ ყოფილა—ეს იყო ემოციური, ღირებული და გამოცდილებით სავსე წლების გაშვება. ამ დღემ ჩემში ბევრი განსხვავებული ემოცია გამოიწვია—სიხარული, სევდა და იმის გააზრება, რომ წინ ახალი, უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლო ეტაპი მელოდა.

განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ის მომენტი, როცა გავიგე რომ 100%-იანი გრანტი მოვიპოვე. ეს იყო ერთგვარი დადასტურება იმისა, რომ საკუთარი ძალების რწმენამ და დაუღალავმა შრომამ შედეგიც მოიტანა და ამას ცოტა ხნის წინ მედალიც დაემატა, რაც სკოლის წლების სიმბოლური, ლამაზი დასრულება იყო.

ამჟამად ვსწავლობ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით და აგრეთვე ვმუშაობ ჩემივე პროფესიით. ეს ორი გამოცდილება ერთმანეთს ავსებს და მეხმარება, რომ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოვიყენო. ყოველდღიურად ვცდილობ განვითარებას, ვსწავლობ და ვეძებ საკუთარ გზას იმ სფეროში, რომელიც ჩემში დიდ ინტერესს იწვევს. მომავალი გეგმებიც ჩემს კარიერულ წინსვლას ეხება.

ნინო აბჟანდაძე,
ახალთერჯოლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი

როცა სტრიქონებს სიყვარული ასაზრდოებს...

დიახ, ყველაფერი ამაღლებულია და ულამაზესი, როცა სტრიქონებს სიყვარული, რწმენა და იმედი ასაზრდოებს, ხოლო სევდიან-კაეშნიანია თუ ეს ყველაფერი თვალსა და ხელს შუა შემოგეძარცვება, თუმცა ტკივილად მაინც რჩება. ბოლოს კი შეფარულად თუ აშკარად ილექება სტრიქონებში, მითუმეტეს, როცა ამ დროს პოეტი ხარ და აუცილებლად უნდა ლექსები წერო... ორივე შემთხვევაში ფასეული ფასეულად რჩება და ამასთან, როცა ლექსში ყველაფერი ღვთიური ნიჭითაა ნასაზრდოები არ შეიძლება გულის სიმები არ შეგიტოკდეს...

ერთი მოკრძალებული პოეტი უნდა გაგაცნოთ. მოკრძალებული იმიტომ, რომ პოეტობა მისთვის ისე ზეაღმატებული, საპასუხისმგებლო ცნებაა, თავის თავს ვერ მიიჩნევს პოეტად.

მე ხელთა მაქვს მისი თითქმის გაცრეცილი ლექსების ჩანაწერების რვეული, სადაც 100 ლექსი და ერთი პოემაა, რომელსაც სამი დღეა სიამოვნებით ვკითხულობ, ამ ხელნაწერში კიდევ მრავალი ცალკეული სტროფია, მრავლისმთქმელი და მრავლისდამტევი. როცა მკითხველს მისი ლექსებისა და პოემის გაცნობის შესაძლებლობა წიგნად გამოცემის შემთხვევაში მიეცემა თავად შეაფასებს არის თუ არა ზვიად მექვაბიძე პოეტი...

14 მაისს თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ პოეზიის მოყვარულები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, საზოგადოების წარმომადგენლები, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და ორგანიზებით პოეზიის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა პოეტ ზვიად მექვაბიძესთან. ღონისძიებას შეუერთდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერიის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად.

შეხვედრა გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას პოეზიის დღე და თამარობის დღესასწაული მიულოცა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლალი ცქიფურიშვილმა. მან ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა აგრეთვე ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველს, საკუთარი შემოქმედებით გამორჩეულ ადამიანს, რომელიც წლებია სტუმრობს ბიბლიოთეკას და მონაწილეობას ღებულობს ბიბლიოთეკაში გამართულ სხვადასხვა აქტივობაში.

ბიბლიოთეკასთან, წიგნებთან

ზვიად მექვაბიძის გამორჩეულ ურთიერთობაზე ისაუბრა ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგემ ნარგიზ წიწილაშვილმა.

ზვიადმა თავისი გამოსვლა შეკრებილთა წინაშე დაიწყო მადლიერებით მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელთა და საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის და თბილი, კეთილი ურთიერთობისათვის. შემდეგ კი თავისი მოკლე ბიოგრაფია წარმოადგინა.

დაიბადა 1979 წლის 19 თებერვალს თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში, იქვე დაამთავრა საჯარო სკოლა. შემდეგ სწავლა ქ. ქუთაისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში გააგრძელა თეატრალურ ფაკულტეტზე, დრამისა და თოჯინების თეატრის სპეციალობით.

ზვიად მექვაბიძე თავისი სურვილით შედის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო საკონტაქტო სამსახურში, რა დროსაც მოუწია ერთი წლის განმავლობაში 2005-2006 წლებში სამშვიდობო მისიით ერაყში სამსახური. მისი ეს ნაბიჯი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა უსაფრთხო და როგორც იტყვიან ხოლმე, არაერთხელ ჩახედა სიკვდილს თვალებში. მაშინაც კი ლექსებს წერდა, გვიან ღამით.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფიზიკურად მუშაობდა თბილისში სხვადასხვა კერძო სამუშაოზე, ბოლო 5 წელია დაბრუნდა მშობლიურ საზანოში. იქ, სადაც მისი ბავშვობა და მშობლიური კერაა, სადაც პირველი ლექსი დაწერა, სადაც ყველაზე უფრო მისი სამშობლოა... შრომობს, ფიქრობს, განიცდის, თევზაობს, უსმენს მდინარე ძუსის „ორკესტრირებულ“ მუსიკას...

პირველი ლექსი მერვეკლასელს დაუწერია, შემდეგ წერა სტუდენტობის პერიოდშიც გაუგრძელებია, წერდა სიყვარულზე, პატრიოტულ მოტივზე. როგორც ამბობს ქუთაისში წერეთლის უნივერსიტეტში ლადო ასათიანის სახელობის ახალგაზრდა პოეტთა წრეშიც ყოფილა გაერთიანებული, რომელთა თაოსნობით გამოდიოდა ჟურნალი „პოეზიის დღე“, ლუკა დვალიშვილის და ომარ გვეტაძის ხელმძღვანელობით, „უქიმერიონშიც“ დაუბეჭდავს მისი რამდენიმე ლექსი ომარ ლანჩავას...

ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილები სულგანაბული უსმენდნენ ზვიად მექვაბიძის მიერ წაკითხულ ლექსებს: სიყვარულზე, დედაზე, გელათზე, გალაკტიონზე, იმერეთზე, საზანოზე და ასე შემდეგ... აპლოდისმენტებიც არ აყოვნებდა მისი ლექსები ადვილად იკვლევს გზას მსმენელების გულებისაკენ, რასაც კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და მიმზიდველს ხდის ავტორის მიერ საოცარი ოსტატობით წაკითხული თითოეული მათგანი.

შემდეგ პოეტი პასუხობს ახალგაზრდების შეკითხვებს. მისი საყვარელი პოეტი ლადო ასათიანია სხვა დიდ პოეტებთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივაცია კი—წიგნის კითხვა. მისი აზრით პოეტობა ადამიანის სულიერი მდგომარეობაა. „ტკივილი მაწერინებსო“—ამბობს და მართლაც მისი ლექსების უმრავლესობა, რომ ტკივილითაა განპირობებული ამას არც ჭირდება მისივე აღიარება.

ახალგაზრდებისათვის ასეთი სათქმელი აქვს: „დღევანდელ ახალგაზრდებს ქვეყნის სიყვარული არ გაკლიათ, თქვენ კარგად იცით, როგორ მოუაროთ და უპატრონოთ მას... უქმად ნუ დაკარგავთ დროს, იკითხეთ ბევრი წიგნი, გაიგეთ და ისწავლეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, განათლებაა ის უმთავრესი, რაც ჭეშმარიტებასთან მიგიყვანთ. რაც შეეხება მეტი და მეტი სწავლა-განათლება—ესაა ჩემი რჩევა“...

პოეტის ემოციური და შთამაგონებელი შემოქმედებისთვის მადლობა გადაუხადეს: შორენა ბოჭორიშვილმა,—სახელოვნებო განათლების სამსახურის უფროსის მოადგილემ და მაკა ასათიანმა მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა...

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მოვიდა და ბატონ ზვიადის შემოქმედებას მოუსმინა.

მადლობა გადაუხადა თავად ზვიადს და შემოქმედებისა და აქტიურობისათვის მუნიციპალიტეტის მერიისაგან მადლიერების სიგელი გადასცა, ბიბლუსის 200 ლარიან სასაჩუქრე ბარათთან ერთად, რასაც დარბაზი აპლოდისმენტებით შეხვდა. თუმცა ეს არ იყო ყველაფერი, კიდევ უფრო დიდი საჩუქარი ბატონი მანუჩარის შემდეგი განცხადება იყო—მერია დააფინანსებს ბატონ ზვიადის წიგნის გამოცემას...

უსაზღვროა პოეტის სიხარული. აკი ბრძანა კიდევაც თავის სამადლობელ სიტყვაში, ესაა ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ოდესმე მიმიღია-ო.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: გოჩა ლილუაშვილი, გიორგი ჩუბინიძე და ელენე გურაბანიძე, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები და ლალო მაკარიძე თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე.

მზია ცქიფურიშვილი

* * *

მილალავს ქარი ღრუბლის
ქარავანს,
ციდან შხუილით ეშვება ღალღა,
უკვე მორღვეულ რწმენის
გალავანს
ეჭვის და დარდის არტყია ალყა.
დავთვალე აგერ, წელია ოცი,
გულის სისხლს ვაქცევ და
ლექსებს ვარქმევ,
ჯობდა მეჭამა ჩემივე ხორცი,
სხვა გამეჩინა რაიმე საქმე.
ვყოფილიყავი დურგალი, ხურო,
ან გუთნისდედის მეზიდა ტვირთი,
ვით საფეთქელში დაკრული ურო,
არ მეგრძნო ხეზე გასკდომა
კვირტის.
არ მყვარებოდა ეს ტყე, ეს შამბი,
არ გავცდენოდი მიწიერ მიჯნას,
ვით დარიშხანის პატარა აბი,
სულს ლექსის გემო არ გაესინჯა.
ბევრჯერ მომარგეს გიჟის
ხალათი,
საკუთარ სისხლით მსურდა
დათმობა,
მიტომ ვატირე დედა ამათი
რომ ლექსის წერას თვლიან
გართობად.
მე რა ვქნა, რომელ წყალს
მივცე თავი,
რომ თითო სტროფი სიცოცხლედ
მიღირს,
ვერ დავიურვე იღბალი ავი,
ვერ გამოვდექი ვაჭარი სიტყვის.
და აგერ უკვე წელია ოცი,
გულის სისხლს ვაქცევ და
ლექსებს ვარქმევ,
სანამდის მიწადქცეულა ხორცი,
დამახურავდნენ სანამდის
სარქველს.
აქ ვარ, სოფელში, ჩემს დაღლილ
თვალებს,
სოფლის უმტვერო ზეცა
დაჰყურებს,
და ჩამოვიტან ქალაქში მალე,
ძარღვიან ლექსებს—ნედლ
სალამურებს.

* * *

ჩანგრეულა ძველი სახლი
გადამხმარი ჩანს ხეხილი
არც ზუზუნი ისმის სახრის
აღარც მეხრის შეძახილი.
აღარ ხნავენ ძველ საყანეს,
მიატოვეს უმიზეზოდ,
წლებმაც აღარ დაახანეს
და მაყვალი ფარავს ეზოს.
აღარ აღრჩობთ ქვევრებს როგო,
არ ჭრიალებს მარნის კარი,
და სახნისიც გდია როგორც
უპატრონო ხეიბარი...

წვიმა... წეროები

წამი წვიმაში წავა წამებით,
იმედს გავატან საგზლად
წეროებს,
ზეცა ლილისფერ
წარბ-წამწამებით,
თავს შეაყვარებს ხის კენწეროებს.
მიწა მზის ნათელს შესვამს
პეშვებით,
მიწა—უმძიმეს ცოდვებით სავსე,
ჩვენ ბედთან ბრძოლას არ
შევეშვებით,
და ერთმანეთსაც დავკარგავთ
ასე,
ვინ თქვა წამება უფრო
ხანგრძლივი?
დამაწევ ქარში კივილს—
„დაბრუნდი!“
შორს ლურჯ ეთერში, ვით ქარვის
მძივი,
დაეკიდება წეროთა გუნდი...

* * *

ნისლის სახლი ავაშენე,
ცისარტყელის გალავანით
ვარსკვლავებით დავამშვენე,
სარკმელი და დარაბანი.
ჩამოვკიდე ნისლის კარი,
ჩამოვუშვი ნისლის კიბე,
თითქოს ვიყავ ჯადოქარი,
არც მივკიბე, არც მოვკიბე.
შიგ გავშალე ნისლის სუფრა,
შემომესწრო განთიადი,
თვითონ ღმერთი მყავდა
სტუმრად,
სულ სხვა მადლით გავდიადდი.
სადღეგრძელოს არ მაკლებდა,
ყანწს მაწვდიდა ანგელოზი,
აბა რაღას დამაკლებდა,
ეშმაკი და ტარტაროზი?
ეს სიზმარი სიზმრად რჩება,
კაცი-კაცად, ღმერთი—ღმერთად,
კვლავ მიწაზე სული მძვრება
თქვენთან ერთად, თქვენთან
ერთად.

* * *

შენს შემდეგ ვცხოვრობ
უსახურავო სახლში,
არ გელოდები აღარც
ზღაპრების მჯერა,
სიკვდილის მერეც შენთან
ვიქნები ვალში,
წავალ, დაგრჩება
ჩემი დაღლილი მზერა.
შენს შემდეგ აგერ,
საუკუნეა მაწვიმს,
ლექსებსაც წყალი
წურწურით გასდის ღვარად.
გემუდარები აღარ მომძებნო აწი,
არ დამირღვიო
ეს სიმარტოვე, კმარა.
შენს მერე მტკივა
ყველა ტკივილი ერთად,
ზოგჯერ ვტირი და...
არ დაგიმალავ, მიჭირს
ეს სიმარტოვე უკვე
ვიწამე ღმერთად
და მოლოდინიც...
უფრო ყოფილა ნიჭი...
თენდება ისევ
უსახურავო სახლში.
სველ რვეულებში
სველ ლექსებს სძინავთ ჯერაც,
მე გაჩენამდეც შენთან
ვიყავი ვალში,
წავალ... კარებზე
მიმეყინება მზერა...

* * *

ჩვენს შორის ჩადგა
დღეები ზამთრის,
და ჩემი ბედის უკუღმართობა,
ჩემს იღბალს ახლავს
სიმხეცე აფთრის
და არ სჩვევია ჩემი დანდობა.
ახლა ეს ღამე უფრო დარდია,
ძვირფასო ახლა
გზები მღალავენ,
მე გული მწყდება
სხვებს რომ მადრიან,
და შენთან ყოფნას
რომ მიკრძალავენ.
ახლა უბრალოდ
არ მწერ ბარათებს,
ახლა შენს ნაცვლად
სევდა მეხება,
მე უკვე ჩავქრი, ველარ ამანთებს,
შენი თვალების შემომეხება...
რაც მტკივა ახლა
უფრო გულია,
სიზმრებს გადაჰყვა
ღრუბლები, ფრთები,
დღევანდელი დღეც დაკარგულია,
შენი სიცივის კოცონთან
ვთბები...

გვპასუხობს მოძღვარი

ერთ-ერთი საეკლესიო მოძრავი დღესასწაული ამაღლება წელს 29 მაისს, ხოლო სულთმოფენობა 8 ივნისს აღინიშნება. დეკანოზ დავითს (ჭანტურიძე) ვთხოვეთ მოეთხრო ამ დღესასწაულების შესახებ.

ამაღლება

აღდგომიდან მეორმოცე დღეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოეცხადა მოციქულებს იერუსალიმში. წაიყვანა ისინი ზეთისხილის მთაზე და უბრძანა არ გასულიყვნენ იერუსალიმიდან, სანამ მთაზე არ გადმოვიდოდა სულიწმინდა. შემდეგ აღმართა ხელი, აკურთხა მოციქულები და დაიწყო ამაღლება. საბოლოოდ ბრწყინვალე ღრუბლებმა დაფარა იესო ქრისტე მოციქულთა თვალთაგან. მოციქულები დიდხანს შეჰყურებდნენ ცას. ამ დროს მათ გამოეცხადა ორი თეთრად მოსილი ანგელოზი: „გალილეველებო, რად დგახართ და უყურებთ ზეცას?“—უთხრეს ანგელოზებმა მოციქულებს, იესო, თქვენგან ამაღლებული, მოვა იმავე სახით, როგორც ნახეთ თქვენ ამაღლების დროს“.

მოციქულებმა თაყვანი სცეს ამაღლებულ უფალს.

სულიწმინდის გადმოსვლა

ორმოცდამეათე დღეს იესო ქრისტეს აღდგომიდან, წმინდა მოციქულები ღვთისმშობელთან და სხვა მორწმუნეებთან ერთად იმყოფებოდნენ ერთ ბინაში და ლოცულობდნენ. უცბად მოისმა ზეციდან ქარისებური შრიალი, გამოჩნდნენ ცეცხლისებური ენები და დაეშვნენ თითოეულ მათგანზე. ყველანი აღივსნენ წმინდა სულით და დაიწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე, რომელიც ადრე არ იცოდნენ.

იერუსალიმში ამ დროს იყვნენ მრავალი ქვეყნიდან მოსული ებრაელები სულიწმინდის გადმოსვლის დღესასწაულის გამო. როდესაც მათ გაიგონეს ხმაური, მოგროვდნენ იმ სახლთან, სადაც იყვნენ მოციქულები. მათ გაუკვირდათ, რომ უბრალო, უსწავლელი მოციქულები ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე. ხალხთან გამოვიდა მოციქული პეტრე და აუხსნა, რომ მთაზე გადმოვიდა სულიწმინდა იესო ქრისტესგან, რომელიც იყო ჯვარცმული, მაგრამ აღსდგა მკვდრეთით. ამ ქადაგების გამგონნი გაგულკეთილდნენ და უთხრეს პეტრეს და სხვა მოციქულებს: „რა გავაკეთოთ ჩვენ?“ პეტრემ უპასუხა „შეინანეთ და პირჯვარი დაიწერეთ უფალი იესო ქრისტეს სახელით და თქვენ მიიღებთ სულიწმინდის წყალობას“. იმ დღეს მოინათლა სამი ათასამდე კაცი.

სულიწმინდის გადმოსვლა იწოდება სამებად, ვინაიდან ამ დღეს იდიდება უწმინდესი სამება.

წმინდა ნინო

(აღინიშნება 27 იანვარს და 1 ივნისს)

კითხვა: როგორც ცნობილია, ქრისტიანული სარწმუნოების პირველი მარცვალი საქართველოში შემოიტანეს მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, ხოლო ქრისტიანობის საბოლოო აღიარება ნაყოფია მოციქულთა სწორის, წმ. ნინოს ქადაგებისა. გთხოვთ განმარტოთ წმ. ნინოს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

პასუხი: წმ. ნინო წარმოშობით იყო კაბადოკიიდან. ასული რომის მხედარმთავრის, ნინოს დედა კი იერუსალიმის პატრიარქის და. როდესაც ნინოს შეუსრულდა თორმეტი წელი, მისი მშობლები გადასახლდნენ იერუსალიმში. ნინოს პატიოსანი მშობლები ზრდიდნენ ღვთის სიყვარულით, უნერგავდნენ მას გაჭირვებულთა და დაჩაგრულთა თანაგრძნობას. ნინო აღსაზრდელად მისცეს ერთ მოხუცს, რომელიც ნინოს უამბობდა ქრისტეს ცხოვრებაზე, ამბავს ქრისტეს პერანგის შესახებაც, რომ იგი არის მცხეთაში. **„სად არის მცხეთა, სადაც არის მხსნელის პერანგი?“** ეკითხებოდა ნინო. აუხსნა ისიც, რომ საქართველო, მისი მოსაზღვრე მთიანი ადგილის მცხოვრებნი არიან წარმართული სარწმუნოების ტყვეობაში. იმ დღიდან ნინოს არ შეუწყვეტია ვედრება ღვთისმშობლისადმი, რომ ენახა საქართველო და თაყვანი ეცა პერანგისათვის.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ისმინა ვედრება, გამოეცხადა სიზმარში, მისცა ვაზისგან გაკეთებული ჯვარი და უთხრა—**ეს ჯვარი იქნება შენთვის ფარი, მისი ძალით დანერგავ სარწმუნოებას ჩემი საყვარელი ძისა და უფლისას. ნინომ მოიჭრა ნაწნავი, დიდი პატივისცემით შეკრა ჯვარი თავისი თმით.**

დიდი ხნის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ ნინომ მიაღწია ქალაქ მცხეთას. მცხეთაში მისვლის მეორე დღეს, იქ იყო წარმართული დღესასწაული—ერთ-ერთი წარმართული მთავარი ღვთაების პატივსაგებად. ნინო მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს გაენათლებინა ამ ხალხის გონება. უეცრად ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, მეხმა დაამსხვრია კერპი. ნინო ლოცვებით კურნავდა ავადმყოფებს, უყვებოდა ხალხს იესო ქრისტეზე, ეს კარგად მოქმედებდა ხალხზე, მას სთავაზობდნენ ძვირფას საჩუქარს, მაგრამ ნინო უარს ამბობდა და კვლავ ღარიბულ ქოხში ცხოვრობდა, ნინოს გაგონილი ჰქონდა, რომ ამ ადგილზე დაფლული იყო ქრისტეს პერანგი. ნინო მხურვალედ შესთხოვდა ღმერთს, რომ ჩაეგონებინა ქართველი ხალხისათვის შეცნობა ჭეშმარიტებისა.

იმ ხანებში ავად გახდა თვით დედოფალი. ექიმებმა ვერაფერი უშველეს და გადაწყვიტეს მოეწვიათ მადლიანი უცხოელი, მაგრამ ნინო არ წავიდა სასახლეში და დედოფალი მიიწვია თავის ქოხში. ნინომ ილოცა მისთვის და ავადმყოფი გამოჯანმრთელდა. **„არა მე გაგკურნე შენ, არამედ იესო ქრისტემ“**, დედოფალმა იწამა იესო ქრისტე. ერთხელ, როცა მირიან მეფე ნადირობდა, ის მოიცვა საშინელმა სიბნელემ, შეშინებულმა დაუძახა მხლებლებს, მაგრამ ისინი ვერავითარ სიბნელეს ვერ ხედავდნენ. სიბნელე მხოლოდ მეფეს ფარავდა. მეფემ მოიგონა ნინოს სიტყვები და მიმართა ღმერთს იმ სიტყვებით, რომელსაც ნინო ქადაგებდა. სიბნელე მაშინვე გაიფანტა. მირიან მეფემ მთელი გულით იწამა ქრისტე და გადაწყვიტა მიეღო წმინდა ნათლობა. მან გაგზავნა ხალხი კონსტანტინეპოლში ეპისკოპოსისა და მღვდლების ჩამოსაყვანად, დაინიშნა ეპისკოპოსი საქართველოში, ნინო მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ დაეხმარა კერპთაყვანისმცემელი ქართველი ხალხის მოქცევაში.

ნინომ განაგრძო საქართველოს სხვა კუთხეებში თავისი მოციქულებრივი საქმიანობა.

ნინო გარდაიცვალა კახეთში. მირიან მეფემ იმ ადგილას ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. შემდეგში აქ დაარსდა ბოდბის ეპარქია. ნინოს საფლავი ამ მონასტერშია.

ესაუბრა ჟუჟუნა ცხადაძე

ბაჩკოვო

ბაჩკოვოს მონასტრის ამჟამინდელი წინამძღვარი და დღევანდელობა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „თერჯოლა“ №8. 15.04.2025)

ამჟამად პეტრიწონის მონასტრის წინამძღვარი გახლავთ ველიჩკის ეპისკოპოსი, ტროიანასა და ბაჩკოვოს მონასტრების იღუმენი სიონი (სტეფან რადევ ნიზამოვი, წმინდა სინოდის მიერ მეუფის წინამძღვრად დადგინების დრო 2019 წლის 3 აპრილი).

პეტრიწონის მონასტერში დავყავი სამი კვირა. ამ ხნის განმავლობაში მეუფე სიონმა გამოიჩინა დიდი სიყვარული, პატივისცემა და ყურადღება. მიგვიღო როგორც დიდი ხნის სულიერი ნათესავები და ღვთისმშობლის ერთი კალთის ქვეშ მყოფი სულიერი ძმები, ჩაგვიკრა გულში და მოგვცა საშუალება, გავცნობოდით მონასტრის ყველა სიწმინდეს, რისი ნახვაც შესაძლებელი იქნებოდა მონასტერში ცხოვრების დროს.

მეუფე სიონი გახლავთ გამორჩეული პიროვნება და დიდად კეთილგანწყობილი ქართველებისა და არა მხოლოდ ქართველების მიმართ. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი გახდა მასთან პირველი შეხვედრა. როდესაც მეუფე სიონის მისაღებ ოთახს „არქონდარიკს“ მივუახლოვდი და დავაკაკუნე, მეუფემ კარი თვითონ გამიღო, მე მისგან მეტანიით ლოცვა-კურთხევა გამოვითხოვე, თუმცა მეუფემ თავად მთხოვა დალოცვა და ხელზე მეამბორა. შემდგომ სამჯერ ბულგარულად გადამკოცნა. ქართულად მისალმებას მიჩვეული, დაბნეულად ვეამბორე და წამიძღვა მისაღებისაკენ.

მეუფე სიონმა საუბრის დროს აღნიშნა, თავი ისე მეგრძნო როგორც საკუთარ სახლში და ხანგრძლივი დროით დარჩენა შემომთავაზა „100 წელი შეგიძლია დარჩენა ბაჩკოვოს მონასტერშიო". მონასტერში მოღვაწეობს ორმოცდაათამდე ადამიანი. მათთვის ჩვენ ვიყავით საძმოს წევრები და არა სტუმრები. დიდი სითბოთი და სიყვარულით გვიმასპინძლეს. მეუფეს ლოცვა-კურთხევით მოვილოცეთ ყველა სიწმინდე და ტაძარი, რომლებიც პეტრიწონის მონასტრის კუთვნილებაშია.

პეტრიწონის მონასტერში ყოფნის დროს მომიწია მონაწილეობა მწუხრისა და ცისკრის ლოცვებში. საღმრთო ლიტურგიის დროს კი მონასტრის იღუმენის მეუფე სიონის ლოცვა - კურთხევით ვიმსახურე ადგილობრივ სასულიერო პირებთან ერთად.

ბაჩკოვოს მონასტერში შეიძლება უამრავი სიწმინდის ნახვა

უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებით საყურადღებოა ბაჩკოვოს ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლია და შემოწირულია XI საუკუნეში იმპერატორ ალექსი I კომნენოსის მიერ. ქართველების მოჭედილ ღვთისმშობლის ხატზე დედაღვთისას სახის გარშემო დატანილი ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომელი მეფის დროს მოხდა ხატის მოჭედვა და ვინ იყო დამკვეთი. ეს ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, ქართველების მოღვაწეობა გრძელდება პეტრიწონის მონასტერში და მონასტერშივე მოღვაწე ბერები არიან ძმები ათანასე და ოქროპირი. ღვთისმშობლის ხატის ზედა აშიაზე მოცემულია ხატის ტიპობრივი მაჩვენებელი - „დედა ღვთისა ვლაქერნისა“.

გადმოცემის თანახმად, კონსტანტინეპოლში, ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძარში, არსებული სასწაულებრივი ხატებიდან ერთ-ერთია ბაჩკოვოს ღვთისმშობლის ხატი. ხატი „ელეუსა“ ანუ მოალერსე ღვთისმშობელის გამოსახულებით.

ხატს მარჯვენა მხარეს ამოტვიფრული აქვს ასომთავრული წარწერა: „მოიჭედა წმინდა ესე ხატი ყოვლად წმინდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისა შობისა პეტრიწონს ორთა ხორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღვრის ათანასის და ოქროპირისა პერპერთა რკე ასოცდახუთითა და წინაშე ხატისა საკანდლითა ვერცხლისაითა“.

ხოლო მარცხენა მხარეს წერია: „საბერძნეთის მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე მიხაელ დაანდრონიკესსა პალეოლოღოს ძეთასა. ხოლო ქართლს კონსტანტინესსა დადისტრისსა, ბაგრატიონთასა დასაბამითგანთა წელთა ბერძნულად ხყით ექვსიათას რვაას ცხრამეტსა, ხოლო ქართულად ხშიე ექვსი ათას ცხრაას ხუთმეტსა. წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეუნდვენ დამეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა და მას დიდსა სასჯელისასა წინაშედა ღმრთისა ჩუენისა. ამინ იყავნ, ამინ. ქორონიკონსა ფლა ხუთასოცდათერთმეტსა. ინდიქტიონსა თ ცხრასა. ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთმოყუარე, ამინ. 1311 წ.“

მონასტერში აგრეთვე ინახება XI საუკუნის საბრძოლო (საზოლავრო-სასარდლო) ჯვარი ქართული წარწერით, რომელიც გრიგოლ ბაკურიანმა შესწირა მონასტერს. ჯვარი აღმართული იყო ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გუმბათზე, ხოლო მეუფე სიონის მონასტრის იღუმენად დადგინების შემდგომ (2019 წლის 3 აპრილი) ჯვარი ჩამოაბრძანეს და ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან თავდასაცავად გადააბრძანეს მონასტრის მუზეუმში.

პეტრიწონის კომპლექსში არსებულ საძვალეში გვხვდება ქართველთა ფრესკები, რომლებიც შესრულებულია იოანე ივეროპულელის მიერ XII ს-ში. ფრესკებზე გამოსახულნი არიან მონასტრის კტიტორნი გრიგოლ და აბას ბაკურიანები და აგრეთვე მონასტრის აღმდგენელ-რესტავრატორები: ბერები გიორგი და გაბრიელი. სავარაუდოდ, გრიგოლ და აბას ბაკურიანების საძვალე ეს სამარხი უნდა ყოფილიყო და დღემდე ამ სამარხში არიან დაბრძანებული.

ასევე შეგვიძლია მოვილოცოთ წმინდანთა უამრავი წმ. ნაწილი.

მონასტრის მთავარ ეზოში ფრესკაზე გამოსახულია სტოიან ჩლიკოვის შეხვედრა მონასტრის ძმებთან. აქვე არიან გრიგოლ და აბას ბაკურიანები პეტრიწონის სავანის მინიატურული მოდელით ხელში, როგორც ქტიტორნი მონასტრისა. მეუფე სიონის ლოცვა-კურთხევით გაცოცხლებული და განახლებულია უამრავი ფრესკა-ქართველების მიერ მონასტრის დაარსებისა და გრიგოლ ვანელის წინამძღვრად დადგინების სცენები.

პეტრიწონის მონასტერი დღესაც ელის უამრავ ქართველს, რათა ყველა შეეხოს იმ ისტორიის ნაწილს, რომლებიც ათასობით კილომეტრით შორს დაწერეს და შემოგვინახეს ჩვენმა წინაპრებმა.

აღსანიშნავია, რომ მეუფე გიორგის დიდი სურვილი იყო, დაწყებულიყო აღდგენა ძველი ურთიერთობისა და კავშირისა, რაც არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, როგორც საგანმანათლებლო კერისა, რომლის ფესვებიც ქართულია; მონასტრის მოღვაწენი კი სიყვარულით არიან განწყობილნი ქართველებისა და არა მხოლოდ ქართველების მიმართ.

მეუფე სიონთან გამომშვიდობებისას აღვნიშნე: „ - მეუფეო თქვენი საქმითა და სიტყვით, ჩვენი მეგობრობისა (ბაჩკოვოს მონასტრისა და ქართველების) და ურთიერთობის აღდგენის კეთილი ნების მქონე ბრძანდებით, მაკურთხეველი კი ღვთისმშობელი მარიამია“.

უღრმესი მადლობა გადავუხადე იმ ღვაწლისათვის, რაც მას მიუძღვის მონასტერში იღუმენად დადგენის დღიდან, რასაც ახლა, ამჟამად ეწევა და რასაც მომავალში იმოღვაწევებს პეტრიწონის მონასტერში ღვთის სადიდებლად.

თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგნის წმ. ბართლომე მოციქულის სახელობის მონასტრის † ბერ-დიაკონი მაკარი (ჯამასპაშვილი)

პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაცია

პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაცია 22 მაისს, 09:00 საათიდან დაიწყო და 17 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე - registration.emis.ge.

ბავშვის სისტემაში რეგისტრაციას უზრუნველყოფს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.

ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა სკოლებში 18 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით განხორციელდება. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.

პირველ კლასში ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტები:

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას და უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ სხვა მოთხოვნებს, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

პირველ კლასებში არსებული ადგილების რაოდენობის შესამოწმებლად გადადით ბმულზე: https://skolebi.emis.ge/

პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტრაციის ინსტრუქცია იხილეთ აქ: https://www.youtube.com/watch?v=1bCSvZsGPTs

შეგახსენებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სასკოლო ასაკთან დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შევიდა. კერძოდ, 2025-2026 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ.

ცვლილების თანახმად, ბავშვის მზაობისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, იმ ბავშვების მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს, რომლებსაც 2025 წლის 16 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უსრულდებათ 6 წელი, უფლება აქვთ გააკეთონ არჩევანი: გააგრძელონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვით, ან დარეგისტრირდნენ პირველკლასელებად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ რეგისტრაციის ვადებსა და პირობებს, რათა ბავშვის სკოლაში შეყვანა დროულად და შეუფერხებლად შეძლონ.

ანტონ ქველიძე

მოულოდნელი და ნაადრევი იყო ანტონ ქველიძის გარდაცვალება. დააკლდა იგი საყვარელ ოჯახს, სოფელს, სრულიად თერჯოლას, უამრავ სამეგობროს. ანტონი იყო კაცი, რომელმაც თავისი არსებობით მოგვცა მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, მამა, მეუღლე, ძმა და მეგობარი. უღალატოს, ერთგულს, პატიოსანს და კვალიფიციურ ხელმძღვანელს თუ რიგით თანამშრომელს პატივს სცემდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, მის აზრს ითვალისწინებდნენ, მასაც უყვარდა საქმიანი წინადადებების დაყენება. ანტონი უყვარდათ თანამშრომლებს, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, თანადგომა წესად ჰქონდა.

ანტონ ქველიძე 1951 წელს დაიბადა სოფელ ალისუბანში, დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა „ჭიათურ მანგანმშენის“ №8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოში ეკონომისტად, ამავე ტრესტში საგეგმო განყოფილების უფროსად, სსრკ მშენებლობის ბანკის ზესტაფონის განყოფილებაში უფროს ეკონომისტად და შემდეგ განყოფილების გამგედ, მრეწვმშენბანკის ზესტაფონის განყოფილების მმართველის მოადგილედ, შემდეგ კი მმართველად.

1993 წლიდან ანტონი სამუშაოდ გადმოვიდა თერჯოლის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განყოფილების გამგის მოადგილედ, 1994-2002 წლებში იყო რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე, მუშაობდა თერჯოლის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ. 2009 წლიდან გარდაცვალებამდე კი თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის მოადგილედ...

დარჩა მეუღლე და ორი შვილი.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი კარგი კაცი და დატოვა სევდა და ტკივილი არა მარტო ოჯახში, არამედ მრავალთა გულში. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.

ნათელი და სანთელი ანტონ ქველიძის ხსოვნას.

უახლოსი მეგობრები

ნანა ისაკაძე—ფანჩულიძის გახსენება

გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ...

17 მაისს ერთი წელი გავიდა უშენოდ, უსაშველო, გაუსაძლისი და ცრემლიანი ერთი წელი, წელი შემზარავი მონატრებისა, უშენოდ ნაცრისფერად დაფერფლილი...

ბედისწერამ მკაცრი განაჩენი გამოგიტანა, 56 წლის ასაკში დატოვე ოჯახი, შვილები, მეუღლე, ახლობლები გაუსაძლის დარდსა და ტკივილში, დატოვე საყვარელი საქმიანობა და მარადიულ სასუფეველს შეუერთდი.

ოჯახისათვის თავდადებული, საუკეთესო დედა და მეუღლე, სანდო, მზრუნველი და უღალატო ადამიანი... ძნელზე ძნელია შეეგუო ასეთი ადამიანისა და მეგობრის დაკარგვას. თითქოს დაცარიელდა სახლი, ფერი იცვალა ოჯახურმა იდილიამ, გაქრა ლამაზი, მხიარული დღეები... ზოგჯერ არც გვსურს რეალობას თვალი გავუსწოროთ, თითქოს ისევ მოგელით სკოლიდან დაბრუნებულს...

ოცდათორმეტი წელი ემსახურებოდი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის უდიდეს საპასუხისმგებლო საქმეს ძევრის შმაგი სოფრომაძის სახელობის საჯარო სკოლაში ისტორია-სამოქალაქო განათლების პედაგოგად. მუდამ ცდილობდი და ყველაფერს აკეთებდი სკოლის წარმატებულ ტრადიციებსა და მიღწევებში შენი წვლილიც ყოფილიყო. როგორ გაიხარე, როცა 2015 წელს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოგენიჭა, 2019 წელს კი—წამყვანი მასწავლებლის სტატუსი...

არანაკლებ გაიხარე, როცა მაკ ჯორჯიას რეგიონალური ფონდიდან დაჯილდოვდი მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის!

უამრავი გეგმა და ოცნება გქონდა როგორც ოჯახში, ასევე სკოლაში, შენს მეორე ოჯახად რომ მიგაჩნდა, მძიმე სენმა შენი და ჩვენი ოცნებები დაამსხვრია, არ მოგეცა ფიზიკური შესაძლებლობა გამკლავებოდი ტკივილებს, თუმცა მცდელობა არ დაგვიკლია.

გასული წლის ავბედით 17 მაისს, ბუნების საოცარი სილამაზის დროს, შენი ლამაზი სიცოცხლე სამუდამოდ ჩაიფერფლა.

შენმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა...

წახვედი იმ დიდ, ბურუსით მოცულ სოფელში და დატოვე მონატრების დიდი ტკივილი...

იმედია, შენს მიერ დატოვებულ სიყვარულის ბილიკზე კვლავ გაგრძელდება შენი სანუკვარი ოჯახის ცხოვრება. იქნება ქორწინებები, ძეობები, გამრავლება, ნათლობები... იქნება სტუმრიანობა, ჩვენ კი ამ დროს ყოველთვის თავს შეგვახსენებს შენი არყოფნით გამოწვეული სევდა და ტკივილი იმისა, რომ ჩვენთან ერთად ვერ გაიზიარებ იმ სასურველ ლამაზ დღეებს, რომელიც უფლის წყალობით და დახმარებით ჩვენს ოჯახში, მომავალში დადგება.

უფალს შევთხოვთ მოისვენოს შენმა სულმა სასუფეველში „სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე“.

მეუღლე მურმანი, შვილები მათე და დონი ფანჩულიძეები

გამოფენა-დაჯილდოება

გასულ თვეში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „კრეატივ ივენთის” ორგანიზებით, სასტუმრო „პარაგრაფში“, მოეწყო გამოფენა-დაჯილდოება.

ქვეყნის მასშტაბით მონაწილე დამწყებმა თუ პროფესიონალმა ხელოვანებმა, არაჩვეულებრივ საგამოფენო სივრცეში, უამრავი გულშემატკივრის ოვაციების ფონზე, უდიდესი კმაყოფილება გამოხატეს და ხელოვანთა დაუვიწყარ ზეიმად აქციეს ეს დღე. გამოფენაზე წარმატებულად წარსდგა ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მონაწილე.

„მე მინდა საქართველო მიცნობდეს შესანიშნავი ნამუშევრებისათვის, მადლობა ჩვენს მოსწავლეებს.

წლის საუკეთესო მხატვრების ჯილდოს გილოცავთ!

სსიპ. ქ. თერჯოლის № 1 საჯარო სკოლა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგები ხათუნა გურული და დარეჯან გოგბერაშვილი.

მოსწავლეები:

1. ხუჯაძე ნინო.
2. სულამანიძე გიორგი.
3. სულამანიძე საბა.
4. ურიადმყოფელი ალექსი.
5. აბჟანდაძე ანი.

ქ. თერჯოლის სოფელ კვახჭირის სკოლა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი დარეჯან გოგბერაშვილი.

1. ტყეშელიაძე მარიამი.
2. ვაშაყმაძე ნინი.

ქ. თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის „ქარგვის“ კლუბის კოორდინატორი: ანა გოგიაშვილი.

ქ. თერჯოლის მოსწავლე- ახალგაზრდობის ცენტრის „თექა გობელინის” კლუბის კოორდინატორი: ხათუნა გურული.

ქარგვა

1. კალატოზი თეკლა.

თექა-გობელინი

1. მარუაშვილი ბარბარე.
2. მაკარიძე მარიამი.
3. მაკარიძე მარიამი.
4. საყვარელიძე დაჩი.
5. ქურციკიძე მათე.

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ახალთერჯოლის საბავშვო ბაღის თანამშრომლის

დოდო ცხადაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობს ელზა და ვალერი ბოჭორიშვილებს დედის

დალი ცინაძე-ბოჭორიშვილის

გარდაცვალების გამო.

1 ივნისი თქვენი დღეა...
წმინდა ნინო იყოს თქვენი მფარველი!

1 ივნისი პატარების, ყველაზე ნორჩი მოქალაქეების დღეა, ვულოცავთ და ვლოცავთ უსაზღვრო სიყვარულით ჩვენი თითოეულის და ჩვენი ქვეყნის იმედად მობრძანებულ ულამაზეს გოგონებსა და ვაჟებს...

უსაზღვროა თქვენდამი სიყვარული, ჩვენო, პატარა ცუგრუმელებო, თქვენ შეუფასებელი სიმდიდრე, განძი მშვენება და რაც მთავარია, იმედი ხართ ამ უკიდეგანო სამყაროში...

თქვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, თქვენი სიყვარული და კეთილდღეობა ინებოს უფალმა აწ და მარადის!

ვისურვებდი ჩვენს ღვთითკურთხეულ მამულს, ნაირფერად მოქარგულ მთა-ბარს ვერ დაეტიოს თქვენი სიმრავლე, თქვენი სილამაზე, სილაღე და სიკისკისე.

არასოდეს მოგკლებოდეთ მარიამ ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს მადლიანი ლოცვა-კურთხევა...

მომავალი თქვენი იყოს ბედნიერების, კეთილდღეობის და წარმატებული ცხოვრებისა...

იდღეგრძელეთ!..

ეს ულამაზესი, ნორჩი მოქალაქეები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის კვახჭირის საბავშვო ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელები არიან, სადაც პედაგოგები, ბაღის დირექტორის, ქალბატონ ეთერ ყუფარაძის ხელმძღვანელობით, თითოეულს კომფორტულ გარემოში, დედობრივი მზრუნველობით სკოლისათვის, მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებენ...

შვიდი მათგანი მალე ბაღს დაასრულებს, საყვარელ აღმზრდელებს დაემშვიდობება და სკოლის მერხს მიუსხდება... ნაყოფიერი, წარმატებული ყოფილიყოს

მათთვის სასწავლო პროცესი, ბედნიერ, გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროთ მათ და სრულიად საქართველოს მომავალ თაობას...

მზია ცქიფურიშვილი







შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55

მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:

ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:

„ლიბერთი ბანკი“

LBRTGE22,

ანგარიში

GE32LB0113133960124000

ს/კ 231948872